ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

[illegible] და თბილისის კომ.
[illegible] საქარ. მ.,
[illegible] მუშათა დე-
პუტატების საბჭოთა ცენტრა-
ლური [illegible] კომი-
ტეტის ორგანო

რედაქცია: თბილისი, კრუზენშტერნის ქ. № 4.
რედაქციის მიღება საქმისათვის ყოველდღე გარდა კვირა უქმეებისა დილის 9—2 ს. ტელეფონები: სარედაქციო კოლეგ. № 14 — 76 მდივნის № 19 საერ. №

მთავარი კანტორა: ტბილისი, რუსთაველის პრ., № 24 (მე 2 სართული).
ხელის მოწერის თვიური ფასი შემდეგია: პარტიულ ორგანიზაციებისა და პროფკავშირებისათვის მიტანით: ქალაქში—140 ათასი მანეთი, პროვინციაში—180 ათ. მ. ყველა დანარჩენ ხელის მომწერთათვის მიტანით: ქალაქში 200 ათ. მ. პროვინციაში 240 ათასი მ. განცხადები—10 ათ. მ. ნომპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 800 ათასი მ. ტელეფონის № კანტორისა № 5—48.

ფასი 10,000 მან.
პროვინციაში 12,000 მან.

179 კვირა, 6 აგვისტო 1922 [illegible] ყოველდღიური გაზეთი კვირა, 6 აგვისტო 1922 წ. № 179

„ცენტრის" პოლიტიკის კრახი

(კრიზისი გერმანიის დამოუკიდებელ სოციალდემოკრატიულ პარტიაში)

როდესაც, ექვსი წელიწად ნახევრის წინათ (24 მარტი 1916 წ.), გერმანიის რეიხსტაგის სოციალდემოკრატიული ფრაქციის თვრამეტმა წევრმა, ჰაზე-ბერნშტეინ ლედებურის მეთაურობით, განუცხადეს ფრაქციას, რომ ისინი გამოდიან მისი შემადგენლობიდან და აარსებენ პარლამენტში ცალკე წარმომადგენლობას, რომელმაც დასაწყისი მისცა დღემდე არსებულ გერმანიის დამოუკიდებელ სოციალდემოკრატიულ პარტიას, ცხადი იყო რევოლუციონური ინტერნაციონალისტებისათვის (ციმმერვალდის მემარცხენე ფრთა), რომ ამ ორგანიზაციული რასკოლის დასაწყისს გერმანიის სოციალიზმში საფუძვლათ ედო არა პრინციპიალური, შეურიგებელი უთანხმოება ომის გამო წამოყენებულ კითხვებში. ორივე ფრთა ფრაქციის (სახეში არა გვყავს ლიბკნეხტი და რიული) საერთოთ იდგნენ „ნაციონალური თავდაცვის", „სამშობლოს დაცვის", პრინციპის ნიადაგზე. და თუ ამ თავდაცვისათვის საჭირო კრედიტების, და შემდეგ უკვე ჩვეულებრივი ბიუჯეტის, დამტკიცების საკითხში ფრაქციის უმცირესობა გამოდიოდა უმრავლესობის წინააღმდეგ—ეს არა ისევ პრინციპიალური მოსაზრებით არამედ დროისა და გარემოების შეფასებით, რომლის თანახმათ, მისი აზრით, გერმანიის თავდაცვის საქმე უკვე უზრუნველყოფილი იყო ძლევა მოსილი კაიზერის მხედრობის თავბრუდამხვევი გამარჯვებებით ყველა ფრონტებზე, როგორც ხმელეთზე, ისე, მაშინ, წყალზეც. ამნაირათ ჰაზე-ბერნშტეინ ლედებურის ფრაქციის ინტერნაციონალიზმი განიზომებოდა, თუ შეიძლება ასე ითქვას, იმ მანძილით, რომლითაც დაცილებული იყო ხოლმე კოალიციონური არმია „ფატერლანდის" საზღვრებზე: თუ დაუახლოვდებოდა ეს არმია ამ საზღვრებს, ფრაქციის უმცირესობის ინტერნაციონალიზმი დნებოდა და პირიქით, როდესაც „ჯავშნიანი მუშტი" გაერთიანებული გერმანიის მილიტარიზმისა შორს სტყორცნიდა მოწინააღმდეგე ძალას, ეს ინტერნაციონალიზმიც იზრდებოდა „არა სახუმროთ".

ომისაგან გამოწვეული საკითხების ირგვლივ ამტყდარმა უთანხმოებამ ადგილი მისცა დაახლოვებით იმავე მიმდინარეობითა ჩასახვასა და მათ განვითარებას, როგორიც ჩვენ ვამჩნევთ გერმანიის სოციალიზმში ომამდი. დიდმა უთანხმოებამ, რომლის ნიშან ქვეშ მიმდინარეობდა პარტიის შინაური ცხოვრება თითქმის 10 წლის განმავლობაში (1898—1909) ორათ გაჰყო იმ დროს პოლიტიკურად ერთიანი პარტია მიმდინარე ინტერნაციონალის: რევიზიონისტებათ (ოპორტუნისტებათ პრაქტიკაში) და „ორთოდოქსებათ", „რადიკალებათ". ამ ცამეტი წლის წინათ თავი იჩინა დიდმა უთანხმოებამ თვით „რადიკალებშიც" და ჩამოყალიბდა საჩინოდ ორი ფრთა: ცენტრის—კაუცკის ხელმძღვანელობით და მემარცხენეების, რომლებსაც მეთაურობდნენ განსვენებული ფ. მერინგი, ჯალათურათ მოკლული გმირი პროლეტარული რევოლუციის, რ. ლუქსემბურგი, კ. რადეკი, ჰოლანდიელი მარქსისტი, ა. პანნეკუკი და პ. ლენში, რომელმაც უკვე მოასწრო ომის დროს გაევლო მანძილი, როგორც კაუცკი სწერდა, „Von Radek zu Bethmann", რადეკიდან ბეთმან ჰოლვეგამდი (გერმანიის მაშინდელი კანცლერი) და რომელიც „განისვენებს" დღეს, ვითარცა რენეგატი სოციალიზმის, ჰუგო სტინნესის ხელმძღვანელი ორგანოს („დოიჩე ალგემაინე ცაიტუნგ") სარედაქციო საბჭოში, როგორც მთავარი რედაქტორი ამ გაზეთის.

„რადიკალური" ფრთა გერმანიის სოციალდემოკრატიის, რომელმაც ძლევამოსილებით მოიგერია რევიზიონიზმი პარტიაში, ვერ დადგა როგორც მოწინავე მუშათა მოძრაობის ახალ ამოცანათა სიმაღლეზე იმპერიალიზმისაგან შექმნილ ახალ პირობებში. საკითხმა პარლამენტიური ბრძოლის პირობითი მნიშვნელობისა და მასიური გამოსვლების როლის შესახებ დაარღვია ოდესღაც მთლიანი ფრონტი „რადიკალების". მიმდინარეობამ ამ ბრძოლის პროცესში უკვე სიცხადით გამოარკვია, რომ პარტიაში გამოჩნდა ორი ძალა, შეურიგებლათ დაპირისპირებული ერთი მეორისადმი, რომ ეგრედ წოდებული „ცენტრი" კაუცკის მეთაურობით მუშათა მოძრაობის მორიგ ტაქტიკურ საკითხებში ფაქტიურათ ეკვეთებოდა პარტიის ოპორტუნისტული ნაწილის საქმეს და მძიმე ბორკილებათ ება რევოლუციონურ ელემენტებს მოძრაობისას, რომლებსაც ის იდეოლოგიური ტრადიციით უკავშირდებოდა რევიზიონიზმთან განვლილი ბრძოლის დროიდან. საჭირო შეიქნა გადაჭრით შეურიგებლობით გამოსვლა ამ „ცენტრის" წინააღმდეგ, რათა მებრძოლთა ახალი თაობის შემეცნებაში გავლებული ყოფილიყო ძველი და ახალი ტაქტიკას შორის გარღვეველი ზღუდე, რომელიც უნდა შექმნილიყო ბრძოლის ახალი წესისა და საშუალებათა გამომავალი წერტილით იმპერიალიზმისაგან შექმნილ პირობებში, ამნაირათ შეიქნა ფაქტიურათ ორი შეურიგებელი ბანაკი გერმანიის სოციალდემოკრატიაში და, ამ გარდა მოიბითვე, ნაკლები თუ მეტი სიცხადით, მეორე ინტერნაციონალის სხვა სექციებშიაც. „ცენტრის" იდეოლოგის მიერ ამ თორმეტი წლის წინათ გამოშვებული წიგნაკი: „გზა ძალა-უფლებისაკენ" რომელიც უჯამებდა იტოგებს ოპორტუნიზმთან ბრძოლის მონაპოვართ, მაგრამ რომელსაც ფაქტიურათ „რადიკალების" მემარცხენე ფრთასთან კამათში ვერ გამოჰყავდა კონკრეტული სათანადო დასკვნები თეორიულათ სწორი რევოლუციონური პოზიციიდან, ეს შრომა იყო უკანასკნელი „გედის სიმღერა" სოციალდემოკრატიული „რადიკალიზმის".

ომის დროს ერთხელ კიდევ განმეორდა „ძველი ისტორია".

პროფკავშირთა და სოციალდემოკრატიული პარტიის ბიუროკრატიის თავაშვებულმა ტაქტიკამ, ომის მოლოდინში მშვიდობის პოლიტიკამ („ბურგფრიდენპოლიტიკ") გაანადგურა ფაქტიურათ მთლიანათ ოდესღაც ძლიერი პარტია ამ ხანებში, რომელიც [illegible] ნიშნობდა, „ცენტრალური ევროპის" [illegible] ერთეულით შეჰქონდა და „ჰამბურგიდან ბაგდადამდი" გამარჯვებით, „მსოფლიოს ორგანიზაციაზე" (გუნდის ფორმულა) ე. ი. ფაქტიურად მთელი მსოფლიოსათვის თავის ნებისყოფის კარნახზე. „იმპერიალისტური ტენდენციები სოციალდემოკრატიაში" (ის სიტყვები ეკუთვნის არა სხვა ვინმეს, არამედ კაუცკის, შეიდემანელებთან ე. ი. სწორეთ ამ იმპერიალისტურ სოციალდემოკრატიასთან დღევანდელი გამაერთიანებელის). ასეთი ტენდენციები სოციალდემოკრატიაში თანდათან [illegible] ახდენდა. ამ მდგომარეობამ, პარტიის ხელმძღვანელი ნაწილის აშკარა გამომწვევმა პოლიტიკამ, აიძულა ჯერ ნაწილი სოციალისტების საპარლამენტო წარმომადგენლობის, შემდეგ პარლამენტის გარეშე ორგანიზაციის, გამოსულიყო „ოფიციალური სოციალდემოკრატიის" წინააღმდეგ. ეს ნაწილი შეიცავდა კონგლომერატს ელემენტებისას, დროებით ერთ მიმდინარეობაში მოქცეულებისას (როგორც ეს იყო ერთ დროს სხვა კითხვების გამო ომამდი), რომლებიც თავის მხრით გაითიშნენ შარშანწინ ოქტომბერში ორ პარტიათ. სწორეთ ორი წლის შემდეგ ამ გათიშვის დღიდან, მომავალ კონგრესებზე ოქტომბერში, უნდა მოხდეს ფორმალურათაც ლოგიკური უკვე რამოდენიმე თვის ფაქტათ ქცეული გაერთიანება „დამოუკიდებლებისა" და „ოფიციალური სოციალდემოკრატიის" ერთ გერმანიის სოციალდემოკრატიულ პარტიაში. მაშ ყოფილი „ცენტრი" უბრუნდება „თავის ადგილს" და ამნაირათ თავდება რკალი მისი „განვითარების". ასეთია შედეგი არა პრინციპიალური პოზიციის, რომელიც დაიკავა ომის დროს და კიდევ ომამდი კაუცკის ფრაქციამ გერმანიის სოციალიზმში.

ჩვენ ვთქვით, რომ „ისტორია" მეორდება, ამ შემთხვევაში ისტორია ცენტრის „შეუღლების" მემარჯვენეებთან. მაგრამ გერმანიის მუშათა მოძრაობის პირობებში ეს „ისტორია" „გათამაშებული" იქნება, და არის უკვე დღეს, შედარებით მეტად უკეთეს პირობებში კომუნისტური პარტიისა და მის მიმდევარ რევოლუციონური პროლეტარიატისათვის, ვინემ ეს იყო „მემარცხენე რადიკალებისათვის" მერინგ-ლუქსემბურგ-რადეკის მეთაურობით და მათ გვერდით მყოფ პროლეტარიატისათვის ამ ათი წლის წინათ. რადგან ის ამბები, რომლებიც მოგვდის დღეს გერმანიიდან, ორი სოციალდემოკრატიული პარტიების გაერთიანებასთან დაკავშირებით, მოწმობენ, რომ, თუ ჩვენ შევექცევით მოწმეთ ამ გაერთიანების—ეს არ ჩაითვლის უტყუარლად „დამოუკიდებლებისთვის" „ერთიანი ფრონტის" ლოზუნგმა, რომელიც კაპიტალის წინააღმდეგ ბრძოლის აუცილებლობის შეგნებით გამსჭვალულ მუშების რიგებში პარტიაში, აკავშირებს კომუნისტების მიმდევრებთან, ამ ლოზუნგმა „გავლენა" ვერ მოახდინა. „დამოუკიდებელთა" მიმდევარ მუშების რიგებს აჰყავს, განზრახულ გაერთიანების მოლოდინში, დიდი უკმაყოფილება პარტიის ხელმძღვანელი ინსტანციების მოქმედებით და თანდათან აშკარავდება მტკიცე ოპოზიცია ამ გაერთიანების წინააღმდეგ. ამ ოპოზიციას მეთაურობს დღეს ჯერ უმცირესობაში დარჩენილი მოხუცი გეორგ ლედებური. მთელი საოლქო კონფერენციები ამ პარტიის გამოსთქვამენ წინააღმდეგ გაერთიანებისა. [illegible] რომ [illegible] ამ შემთხვევაში პოზიციას მესამე ინტერნაციონალის სექციისა გერმანიაში. შეურიგებელი ფაქტით [illegible] დაუპირისპირდება ერთი მეორეს ორი პოლიტიკური ორგანიზაცია პროლეტარიატის: სოციალდემოკრატიული, ფაქტიურათ ბურჟუაზიული თავისი პოლიტიკით, და კომუნისტური, მტკიცე პროლეტარულ რევოლუციური.

სოციალისტური ცენტრი იშლება პარტიული „ეგოიზმიდან" გერმანიაში. ის მოიშლება, ალბათ უფრო ნაკლები რუმბიანი პროცესის შედეგათ, სხვა ქვეყნებშიაც და ეს იქნება იმავე დროს დასასრული იმ „ისტორიული [illegible]", რომელსაც ეწოდება მეორე ნახევარი ინტერნაციონალი.

პრესის მაგიერ

„ტრიბუნა"

გაზ. „ტრიბუნას" თავის საპოლემიკო არსენალში ერთი გამოცდილი იარაღი აქვს. ის სცდილობს ეჭვი აღუძრას თავის მკითხველებს მოწინააღმდეგე პარტიაში და ბოლოს, როდესაც საქმე მიდგება ბრალდების ფორმულირებაზე, იქ გამოთქვამს მას, რომ უკან დასახევ ადგილს იტოვებს მისი აზრით.

როდესაც მისი თანამშრომელი შეეხო „სმენოვეხოვცების" საკითხს, მას შრომა არ დაუზოგავს, რათა მკითხველებში გამოეწვია ის აზრი, რომ კომუნისტები თანხმობენ მათ, რომ პირველნი [illegible] შესახებ [illegible] და [illegible], რომ კრემლი [illegible] იმ ძალით, რომლისგანაც [illegible] „გამარჯვებული" [illegible] რომლის წინააღმდეგ [illegible] ნაციონალიზმი [illegible] კაცი ნიშანი არ არის. არც ჩვენ ვფიქრობთ, რომ ნახშირი იყო ის. მაგრამ ამას რა პრინციპიალური მნიშვნელობა აქვს. როდესაც ორჯერ ზოგიერთ თვალით ერთიდან ახალზე: ორი, სამი და ასე [illegible] თვლის შემდეგ უცვლელად შენარჩუნებით ოთხმოცდა ცხრამეტზე, რომელიც [illegible] არ დაამთავრებს თავისთავის უკანასკნელი რიცხვს და არ იტყვის: „ასეთ" ე. ი. ჩვენ შემთხვევაში: „ნაციონალიზმი", „გაერთიანება" და სხვ. მაგრამ „ტრიბუნა"— თუმცა ეგვიან და დიდი დაგვიანებით შემდეგ—ამბობს, რომ მას ასეთი ბრალდების წამოყენება არ სურდა. ძალიან კარგი. დავიმახსოვროთ როგორც ეს, ისე ხსენებული ხერხი კამათში...

„სმენოვეხოვცების" შესახებ ჩვენ ვსწერდით, რომ მათ წინააღმდეგ ჩვენ ვიბრძვით „კრიტიკის იარაღით". სხვა საკითხთან დაკავშირებით ჩვენ ისიც ვთქვით, რომ ბრძოლა საჭირო „ტრიბუნისტების" „თვისის" წინააღმდეგ მათ დასაძლევათ. „ტრიბუნას" ამაში რაღაც მოეჩვენა [illegible]. მართალია რომ წარმოთქმულის გაგება უნდა. ერთხელ ტოლსტოიმ სთქვა ანდრეევზე ერთი მისი თხზულების გამო: ის მაშინებს, მაგრამ მე არ მეშინიან. ჩვენ დამუქრება აზრადაც არ მოგვივლია, მაგრამ „ტრიბუნა" მაინც შეშინდა. მას შეიძლება ტოლსტოის სიტყვები გადაეკეთებინა და ეთქვა: „კომუნისტი" არ იმუქრება, მაგრამ მე მაინც მეშინიან.

ჩვენ ვსწერდით „სმენოვეხოვცებზე", როგორც კლასიური მტრები პროლეტარიატის—ეს არის ოფიციალური აზრი მათზე. როდესაც მეშჩერიაკოვმა განაცხადა, რომ დღეს ესენი ლოიალური [illegible] ისეთივე, როგორიც [illegible]—ამით მან გამოსთქვა სიმართლე კლასიური თვალსაზრისით. მთელი საზოგადოებრივი ჯგუფის თუ პარტიის „ლოიალობაზე", თუ ის სწორეთ გამოხატავს ჩვენი მოწინააღმდეგე სოციალური ჯგუფის ან კლასის ინტერესებს—ჩვენ მარქსისტებს არ გვჭირდება ლაპარაკი. მეშჩერიაკოვის ეს დებულება, სხვათაშორის, განმეორებაა ლენინის მიერ გატარებული აზრის „სმენოვეხოვცების" კლასიური მტრობის შესახებ. მაგრამ ეს დაავიწყდა „ტრიბუნას". რატომ? მას ფანტაზია აღუძრა იმან, რომ იმავე მეშჩერიაკოვმა სთქვა, რომ დღეს „სმენოვეხოვცები" იცავენ რუსეთის ხალხის სახელმწიფოებრიობას. მეორე ორატორმა დასძინა „სმენოვეხოვცებს" უწოდა კომუნისტების მიმდევრები. და ვინაიდან ჩვენი რევოლუციონერობისა და პრინციპიალური სიწმინდის სადარაჯოზე, სდგას, როგორი ფიქრობთ, მკითხველო, ვინ? „ტრიბუნა"—ამ ტომ ეს უკანასკნელი გვიკარნახებს: ნუ თუ ეს ნიშნავს სასტიკ ბრძოლას „სმენოვეხოვცების" წინააღმდეგ.

მეშჩერიაკოვმა, რომ გაგება უნდა ნათქვამს. მაგრამ ამ გაგების უნარი შესწევთ ისევ და მხოლოდ მათ, ვისაც „აზროვნების ფიზიკური ძალა" არ ღალატობს მალდურათ და შეუძლია მოვლენათ არსის გაგება. ამ მდგომარეობაში ჩვენ ვუთქვით და უნდა კვლავ ავუხსნათ „ტრიბუნას" და მის თანამშრომლებს, რომ მეორე ორატორის სიტყვა არის „ლიაპსუსი", „მანიერ დე პარლერ" იტყოდა ფრანგი ან ფრანგულის მცოდნე „ტრიბუნისტი". ეს „ლიაპსუსი" (შეცდომა) რომელსაც ხმარობს ჩვენ წინააღმდეგ „ტრიბუნა" თავის უკანასკნელ „მოკამათეში", ამოსავალ თავისებური მართალ აზრს, რომელიც [illegible] დონები: „სმენოვეხოვცებმა" ითამაშეს [illegible] თეთრგვარდიელთა ემიგრაციაში დემორალიზაციის შეტანით, და მათ ამ მხრივ კვლავაც შეუძლიათ არსებითი ხელისუფლების სასარგებლოთ მუშაობა, რამდენადაც ის თანდათანობით დაინტერესებულია მისი მტრების რიგების დანგრევაში. არის თუ არა ეს ჩვენ სასარგებლოთ მუშაობა? არის. ნიშნავს თუ არა ეს, რომ ამაზე შეგვიძლია ჩვენ მოვისვენოთ და „სმენოვეხოვცებთან" ბრძოლა არ ვაწარმოოთ, როგორც კლასიური მტრებთან? არა, არ ნიშნავს: ეს ბრძოლა წარმოიბმს. იწარმოებს მომავალშიც კრიტიკის იარაღით ჯერ და როდესაც ეს საჭირო შეიქნება—„სხვა" იარაღითაც.

ეს ბრძოლა ბურჟუაზიულ იდეოლოგიასთან საერთოდ, „სმენოვეხოვცებთან", როგორც მის მატარებლებთან, კერძოთ, ჩვენი პარტიის დღის წესრიგში [illegible] არის წამოჭრილი, განსაკუთრებით „ახალი ეკონომიური პოლიტიკის" პირობებში, როდესაც კაპიტალისტური ურთიერთობის ფეხის წამოდგმასთან იწყო ჯერ „მხოლოდ" მაგრამ მომავალში შესაძლოა უფრო ფართოთ გაშლა ამ ბურჟუაზიულმა იდეოლოგიამ.

კითხვის მიმდინარე დაყენების წესით რომ შესდგომოდა „ტრიბუნა" „სმენოვეხოვცებთან" ბრძოლის საკითხს, ეს საკითხი და საქმე, ფართო, არა ვიწრო მასშტაბით მიდგომა საკითხი [illegible]. მაგრამ, „ტრიბუნისტები" სხვა ჯურის ხალხია. ამ დიდ საქმესაც ისინი უყურებენ არა ფართო პერსპექტივიდან რევოლუციონური თვალსაზრისით, არამედ ადგილობრივი, ნაციონალური, ბ—ნი ჯანელიძის [illegible]—ნაციონალისტური თვალსაზრისითაც. [illegible], როგორი იყო გამოსავალი წერტილი [illegible] „სმენოვეხოვცები" [illegible] არიან და ყოფილი [illegible] ნიჭიერ [illegible] „ტრიბუნისტი" მომწყვდა ნაციონალურ ნაჭერში. რომელსაც ამ ნაჭერზე გადახედავს ჩვენი პლანეტა და შენიშნავს ცუდ, ის ყვირის შეჰკრთალი, რისი საგნით ან ინტერესით? [illegible] ინტერესი. ჩვენ იმას კი არ ვამბობთ, რომ ის „[illegible]" არ უნდა დაიცვათ. პირიქით, მასი დაცვა ჩვენ ფართო რევოლუციონური გზის ხაზზე. ეს ჩვენი მოვალეობაა. ამიტომაც ვებრძვით ჩვენ დღე საქმეს, როგორც მატარებელნი სოციალისტური და ეროვნული განთავისუფლების. მაგრამ ჩვენ ამ კითხვებს ვუდგებით ფართო მასშტაბით, არა ადგილობრივი, არამედ მოძრაობის და მთელი საერთო ინტერესებით, რომელიც გულისხმობს კერძოს და ადგილობრივსაც.

რადიო-დეპეშები

(„კავროსტა")

ესერების პროცესი

ბუხარინის სიტყვა

მოსკოვი (რადიო) დასაწყისი არ არის მიღებული) რომლის ბურჟუაზიული ხასიათი არავისათვის სადაო არ არის. [illegible] ესერების განცხადებას 2 ინტერნაციონალის [illegible] შესახებ, ბუხარინი ამბობს: „ეხლა მოქ. ტიმოფეევი ამტკიცებს, რომ მდგომარეობა გამოიცვალა: 2 ინტერნაციონალმა ვერ შესძლო გაეხადა იგი (გამოტოვებულია). ბუხარინი ეკითხება: ერთ დროს ციმმერვალდში 2 ინტერნაციონალს ეძახდნენ, როგორც (დამახინჯებულია) .. ორგანიზაციას; რა ახალი ფაქტები აქვს მას ეხლა იმის დასამტკიცებლად, რომ 2 ინტერნაციონალის პოზიცია შეიცვალა იმპერიალისტურ ომისადმი, სამხედრო კრედიტებისადმი და სამშობლოს დაცვისადმი. ბუხარინი აქ ეყრნობს, რომ 2 ინტერნაციონალის პოზიცია ერთი იოტისოდენადაც არ შეცვლილა.

ევგენია რატნერმა მოიგონა, რომ ის ხელმძღვანელად იღებდა მონაწილეობას ციმმერვალდის კონფერენციაზე: ამ კონფერენციაზე ნათქვამი იყო, რომ ყოველი ორგანიზაცია, რომელიც დაარღვევს მის დადგენილებებს, იქნება სოციალიზმის გამცემელი. ასეთ გამცემლებად ითვლება ესერები. ყველამ კარგად იცის, რომ კაპიტალისტური წესწყობილება დაიშალა ევროპაში განსაკუთრებით, იმის გამო არსებობს რომ მას მხარს უჭერს ორი ინტერნაციონალი. ბურჟუაზიული ხროვა საშიშია არა იმით, რომ იგი არსებობს, არამედ იმით, რომ იგი გადამცემი ელემენტის, 2 ინტერნაციონალის [illegible] და (გამოტოვებულია). [illegible] რევოლუციონური პროლეტარიატი არ მოსპობს ამ კავშირს, მას არ ექნება შეძლება დაამარცხოს კაპიტალიზმი. თუ რომ ასეთნაირად შეფასებთ მდგომარეობას, და სხვანაირი შეფასება არ არსებობს, მაშინ ესერების პარტიამ, რომელიც მხარს უჭერს 2 ინტერნაციონალს, 3-ჯერ გასცა მუშათა კლასი. სწორედ ისევე, როგორც ამას სჩადიან ყველა ის პარტიები, რომლებიც ირაზმებიან მეორე ინტერნაციონალის გარშემო, რომელიც არის საუკეთესო დასაყრდენი ბურჟუაზიულ რეჟიმისათვის.

ბუხარინი გადადის ესერების პარტიის პოზიციაზე შინაური პოლიტიკის სფეროში. 1905 წელში გამართულ პირველ ყრილობაზე ესერების პარტია შესაძლოთ სთვლიდა რუსეთში სოციალიზმის განხორციელებას, აკრიტიკებდა ყველა სოციალდემოკრატიულ მიმდინარეობებს, რომელნიც მიუთითებდნენ იმაზე, რომ კაპიტალისტური წესწყობილება საჭიროა რუსეთის შინაური ცხოვრებისათვის, ხოლო ეხლა, 18 წლის შემდეგ, როდესაც რუსეთმა გაიარა კაპიტალისტური განვითარების პერიოდი, ესერების პარტია თავს იყენებს უკან და მისი განხორციელება შეუძლებლათ მიაჩნია. ევგენია რატნერი დაემყარა მარქსზე, რათა დაამტკიცოს, რომ ომის შემდეგ საწარმოო ძალების განადგურების ნიადაგზე, შეუძლებელია სოციალიზმის აშენება. ეს არ არის მარქსის თვალსაზრისი, ამბობს ბუხარინი, და მოჰყავს ციტატა მარქსის წერილიდან, სადაც ნათქვამია: ჩვენ არ უნდა დავივიწყოთ, რომ არსებობს დიდი სახელმწიფო, რომელიც განსაზღვრულ მომენტში დაამყარებს თავის ბატონობას ყველა ე. წ. 5 „დიდ" სახელმწიფოებზე და დააწყობინებს მათ ცეცხლს". ეს სახელმწიფოა—რევოლუცია: იმის შემდეგ, რაც ის დიდი ხნით დაფარული იყო წარსულში, იგი ხელახლა იწყებს განვითარებას შიმშილობის ნიადაგზე. საჭიროა მხოლოდ მომენტი, რომ იგი გამოვიდეს (გამოტოვებულია)... იქნება მომავალი ევროპიული ომი".

რატნერი გვარწმუნებდა, რომ ესერები არიან მეცნიერულ სოციალიზმის წარმომადგენლები და ისინი სდგანან კლასთა ბრძოლის თვალსაზრისზე, მაგრამ რამდენიმე წლის წინად იმავე რატნერმა სთქვა, რომ ესერებმა შეგნებულად უარყვეს დროებით თვით სოციალისტური, კლასიური პოზიცია. რატნერმა სთქვა, რომ მან უარყო, მაგრამ ნამდვილად კი—ეს იმას ნიშნავს, რომ მან გასცა სოციალისტური იდეალები.

ბუხარინი გადადის რუსეთის შინაურ ყრილობაზე სამოქალაქო ომის დროს. რატნერმა დასახა აქ კრასნოვი წმინდა წყლის თეთრგვარდიელად. ის ამბობს, რომ ისეთი, როგორც (დამახინჯებულია) რასაც ხმარობდა კრასნოვი მუშების და გლეხების წინააღმდეგ (გამოტოვებულია) გოცი მიდიოდა პეტროგრადზე, რათა ჩაეხშო აჯანყებული რევოლუციონური მუშები „როდესაც ჩვენ, ამბობს ბუხარინი, ვუძღვებოდით წინ დიდ სოციალისტურ რევოლუციას, გოცმა განაცხადა, რომ ჩვენ გვინდა რუსის ხალხის ზურგზე ვაწარმოვოთ ექსპერიმენტები. ესერები ამავე დროს აშენებდნენ ნაცუფათევ სახელმწიფოს, ეყრდნობოდნენ რა კაპიტალისტების დახმარებაზე და გენერლებზე და ღვრიდნენ მუშების და გლეხების სისხლს. აი ეს არის ნამდვილი დანაშაული!

ეხება რა ადმინისტრატიულ ცენტრის დოკუმენტებს ბუხარინი ამბობს, რომ: „აქ შესაძლებელია სამი შემთხვევა: პირველი—თუ დოკუმენტები ყალბია, ბრალდებულებს პირდაპირ და კატეგორიულად უნდა განეცხადებინათ ამის შესახებ, და დაემტკიცებინათ დოკუმენტების სიყალბე; მეორე—თუ დოკუმენტები ნამდვილია—ბრალდებულებს გულახდილად უნდა ეღიარებინათ, რომ მათ არაფერი საერთო არა აქვთ იმ პირებთან, რომელნიც დოკუმენტებში არიან დასახელებულნი; მაშასადამე ამ პირებს უნდა შევხედოთ, როგორც პროვოკატორებს: მესამე—თუ დოკუმენტების ერთი ნაწილი სწორია, ბრალდებულებს უნდა გაერკვიათ, თუ რომელ მათგანს ისინი აღიარებენ, და რომელს უარჰყოფენ. ბრალდებულებმა ეს არ ჩაიდინეს, მათ არ აღიარეს დოკუმენტები, მაგრამ არც უარყვეს ისინი, სულ უბრალო მოსაზრებით: სავსებით დამტკიცებულია, რომ ამ ჟამად მოსკოვში არსებულ ცენტრალური ესერების ბიუროს აქვს კავშირი ადმინისტრატიულ ცენტრთან, იღებს იქიდან ფულებს და აი რატომ არ შეუძლიათ ესერებს უარი სთქვან ადმინისტრატიულ ცენტრზე.

ესერების პარტია არის გამცემელი მუშათა კლასის და სოციალიზმის ინტერესებისა. თუ ამ პარტიაში იმყოფებიან ისეთი ადამიანები, რომელთაც თავისი სოციალური შემადგენლობით იგრძნეს გამცემლობა და გამოაშკარავეს გამცემლები, მით სოციალიზმის თვალსაზრისით გააკეთეს სასარგებლო საქმე, მათი ისტორიული ღვაწლი მდგომარეობს იმაში რომ გამოვიდნენ რა ესერების პარტიიდან. მათ გამოააშკარავეს გამცემლობა და სამარცხვინო ბოძზე გააკრეს თავისი ხელმძღვანელები.

შემდეგ ბუხარინი ახასიათებს ესერების მოღვაწეობას, რომელნიც ყოველთვის გამოდიოდნენ საპასუხისმგებლო მომენტში ლეღვის ფოთლებში გახვეულნი და ფსევდონიმების ქვეშ.

ბუხარინი ეხება საკითხს (გამოტოვებულია) „როდესაც ჩვენ გამოვდიოდით რევოლუციაში, ამბობს ბუხარინი, ესერებს ჰქონდათ სახელმწიფო ძალაუფლების აპარატი, ჰყავდათ არმია, პოლიცია და დიდი პარტია. ბოლშევიკებს არაფერი არ ჰქონიათ. ბოლშევიკები იყვნენ, ესერების გამოთქმით, ჯგუფი გერმანიის ჯაშუშებისა. ყველა უპირატესობანი ესერების მხარეზე იყო. მიუხედავად ამისა ესერები დამარცხდნენ თუ ბოლშევიკებმა გამარჯვების შემდეგ სახელმწიფო ძალა უფლება მოაწყვეს ეს არაფერს არ ამტკიცებს. იმ ხანაში, რომელიც რევოლუციის დასაწყისში სუფევდა ესერებს ჰქონდათ ყველა უპირატესობანი. აქ არა ერთხელ სთქვეს, რომ ბურჟუაზია არ არის პატიოსანი და აზროვნებს კლასიურ (დამახინჯებულია), რომ აგრეთვე აზროვნებენ ბოლშევიკები და მხოლოდ ესერები აზროვნებდნენ ზეკლასიურად და კლასის გარეშე. თუ გვექნება ცოტაოდენი წარმოდგენაც კი კლასიურ თვალსაზრისზე, აქ საკვირველი არაფერი არის. თუ ეხლა კაპიტალიზმს არ შეუძლია შეინარჩუნოს წონასწორობა, თუ ეხლა არავითარი პოლიტიკური ჯგუფები და არავითარი ეკონომიური კავშირი არ შეიძლება მტკიცედ ჩაითვალოს, მაშინ თქვენ არ შეგიძლიათ უარყოთ, რომ ყველაზე დიდ იდეოლოგიურ და მატერიალურ ორგანიზაციულ ფაქტად, რომელიც ამ ჟამად არსებობს მთელი რევოლუციონური მოძრაობისათვის, უნდა ჩაითვალოს საბჭოთა რუსეთი.

ბუხარინი გადადის მომავალ პერსპექტივებზე. გოცი ამბობს, რომ ეხლა შეიძლება ლაპარაკი არა შეიარაღებულ ბრძოლის მეთოდზე საბჭოთა რუსეთთან, არამედ პოლიტიკურ მეთოდებზე.

კაპიტალიზმის სამეფოში

ანტანტა და გერმანია.

გერმანია უარს ამბობს გადახდაზე.

ნაუენი. 4 აგვისტო (რადიო). გერმანიის მთავრობამ ბრძანება გასცა შეაჩეროს საზღვარ-გარეშე გადაგზავნათა გადახდა, რადგანაც ფასები კატასტროფიულად ეცემა. პარტიის ლიდერების თათბირის შემდეგ მოელიან, რომ კანცლერი ფორმალურად უარს განაცხადებს გადახდებზე, ვინაიდან ამის შესაძლებლობა არ არსებობს.

საფრანგეთის რეპრესიები.

ბერლინი. 4 აგვისტო (რადიო). ბერლინის დიპლომატიურსა და პოლიტიკურ წრეებში მდგომარეობა სერიოზულად მიაჩნიათ და შიშს გამოთქვამენ საფრანგეთის „სანქციების" მუქარის შესახებ [illegible] ფიკაციაში, ელზას ლოტარინგიიდან 80.000 გერმანელების გამოსახლებაში და რეინის მარცხენა ნაპირის ქალაქებსა და სხვა ადგილებში ქონების კონფისკაციაში. ხსენებული კონფისკაციას ალბად მოახდენენ უფრო მდიდარ რაიონებში, როგორიცაა მაგალითად დიუსელდორფი, რურორტი და სხვ.

გაზ. „ფორვერტსი" გადახდათა შესახებ.

ბერლინი. 4 აგვისტო (რადიო). გაზ. „ფორვერტსი" ამბობს, რომ საფრანგეთს შეუძლია მოითხოვოს 15 აგვისტოსათვის იმ გადახდათა ნაწილის შეტანა, რომელიც მას ერგება გერმანიიდან, მაგრამ მას არა აქვს არავითარი უფლება მოსთხოვოს გერმანიას იმ სახელმწიფოებისაც გადახდების კონტროლი, რომელნიც ახლა ამაზე უარს ამბობენ.

მორატორიუმი.

ნაუენი. 4 აგვისტო (რადიო). იმ დროს, როდესაც პარიზის გაზეთების უმრავლესობა ლაპარაკობს ეგრეთ წოდებულ „სანქციების" შემოღებაზე გერმანიის წინააღმდეგ, გერმანიის პრესა ამტკიცებს, რომ გერმანიას მისცემენ მორატორიუმს, თუ საფრანგეთი თანხმობას განაცხადებს გადახდათა ვადის განგრძობაზე იმ პირობით, თუ შეერთებული შტატები დასთანხმდებიან გაუგრძელონ ვადა საფრანგეთს მისი ვალების გადასახდელად.

ინგლისის უკმაყოფილება.

ნაუენი. 4 აგვისტო (რადიო). გაზ. „დეილი ტელეგრაფის" ცნობით, ლონდონის დიპლომატიური წრეები პუანკარეს ულტიმატუმს ძალიან სერიოზულ დოკუმენტათ მიიჩნევენ. გაზეთი აღნიშნავს, რომ პუანკარემ ინგლისი გამოუვალ მდგომარეობაში ჩააგდო და თუ გერმანია შეეკითხება, ლაპარაკობს თუ არა პუანკარე მოკავშირეთა სახელით და მათ შორის ინგლისის სახელითაც, მაშინ ამ უკანასკნელმა ამაზე უარყოფითი პასუხი უნდა გასცეს.

გერმანიაში.

ბავარიის პასუხი.

ნაუენი. 4 აგვისტო (რადიო). ბავარიის პრემიერმა ლერხენფელდმა უპასუხა პრეზიდენტ ებერტს. პასუხში გამოთქმულია სურვილი კონფლიქტის მოლაპარაკების საშუალებით გადაწყვეტის შესახებ. ლერხენფელდი აღნიშნავს, რომ რესპუბლიკის თავდაც-

საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვა უნდა ირჩეოდეს ფორმალური სავსებით თანასწორობის თვალსაზრისით და ფიქრობს, რომ თავდაცვის საქმეში მიღებულ ზომებს აქვსთ დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა.

გერმანია და საფრანგეთი.

მოსკოვი. 3 აგვისტო (რადიო). გერმანის მთავრობა უდგენს საფრანგეთს თავის პასუხს საფრანგეთის უკანასკნელ ნოტაზე. გაზ. „ფორვერტსის" სიტყვით გერმანიის ნოტაში კატეგორიული უარია გამოთქმული საფრანგეთის მოთხოვნილების ასრულებაზე. გერმანიის მთავრობა პროტესტს აცხადებს საფრანგეთის ულტიმატიურ პოლიტიკის წინააღმდეგ, რომელიც ბოლოს და ბოლოს გათავდება მსოფლიო კატასტროფით.

საკონტროლო კომისია.

მოსკოვი. 3 აგვისტო (რადიო). ბერლინის ოლქის მეუმრავლესეთა სოციალ-დემოკრატების ყრილობამ მიიღო რეზოლიუცია, რომლითაც ის მიესალმება დამოუკიდებლებთან გაერთიანებას. რეზოლიუციაში გამოთქმულია პროტესტი საკონტროლო კომისიის შედგენის წინააღმდეგ, მაგრამ მიუხედავათ ამისა, ბერლინის ოლქში დგება ახალი საკონტროლო კომისიები.

ალმოსავლეთ პრუსიის სამ მუშათა პარტიის პროფორგანიზაციების კრებამ ერთხმად დაადგინა გამოყოფილ იქნეს საკონტროლო კომისია. ასეთივე დადგენილება მიღებულია პროფკავშირთა კონფერენციაზე გალში. ამ რაიონების მუშა სოციალ-დემოკრატებმა შეიტანეს წინადადება მუშათა „დრუჟინების" შედგენის შესახებ და გაილაშქრენ კომუნისტების დევნის წინააღმდეგ.

რატენაუს მკვლელობის გამო.

მოსკოვი. 3 აგვისტო (რადიო). რატენაუს მკვლელები კერნი და ფიშერი, რომელთაც თავი მოიკლეს, დაკრძალულ იქნენ დიდი პატივით სტუდენტების და ოფიცრების მიერ, რომელთაც თვითონ გათხარეს საფლავი, ვინაიდან მესაფლავეებმა უარი განაცხადეს მკვლელების საფლავის გათხრაზე.

„შურის ძიების ხელი"

მოსკოვი. 3 აგვისტო (რადიო). ჰამბურგში აღმოაჩინეს ნაციონალისტური ორგანიზაცია „შურის ძიების ხელის" სახელწოდებით. ამ ორგანიზაციაში შედიოდენ აგრეთვე ბევრი რუსის ოფიცრები და მონარქისტები, რომელნიც მოწვეულნი იყვნენ ორგანიზაციაში საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ ბრძოლის საწარმოებლად.

საფრანგეთი.

ინსტრუქციები პუანკარეს.

ნაუენი. 4 აგვისტო (რადიო). პარიზში მილიერანის თავმჯდომარეობით, რომელიც სპეციალურად ჩამოვიდა რამბუვედან, გაიმართა საფრანგეთის კაბინეტის სხდომა, რომელზედაც ირჩეოდა საკითხი ლონდონის კონფერენციაზე პუანკარესათვის მისაცემ ინსტრუქციების შესახებ.

ფრანგები რუსეთის შესახებ.

ბორდო. 4 აგვისტო (რადიო). გემ „კალიფორნიაზე" რუსეთიდან დაბრუნებული ფრანგები იტყობინებიან, რომ რუსეთში კიდევ მრავალი ფრანგი დარჩა. გემ „კალიფორნიას" პეტერბურგში ძალიან კარგათ შეხვდენ.

ვალების საკითხი.

ბორდო 4 აგვისტო (რადიო). გაზ. „ეხოდეპარი" იმედს გამოსთქვამს, რომ პუანკარე არ დაუშვებს მომავალ ლონდონის კონფერენციაზე, მოკავშირეთა ვალების საკითხის გერმანიის კონტრიბუციის საკითხით მიჩქმალვას. გაზეთის აზრით, ინგლისის განცხადების შემდეგ, საფრანგეთმა გერმანიაში ისეთივე ნაბიჯები უნდა გადადგას, როგორც ინგლისმა. ყველა გაზეთებს მიაჩნიათ შესაძლებლად ვალების საკითხის სიმძიმის შეერთებულ შტატებზე გადატანა.

ინგლისი.

ბალფურის ნოტა.

ნაუენი. 4 აგვისტო (რადიო). ნიუიორკის გაზეთების აზრით ბალფურის ნოტა უდროვოა. შეერთებულ შტატების კონგრესს არაფრით არ შეუძლია ისარგებლოს ამ ნოტიდან და შეამციროს ვალები. რეიტერის სააგენტოს ცნობით, ამერიკელი წრეები ლონდონში იზიარებენ დიდი-ბრიტანიის თვალსაზრისს, მაგრამ დარწმუნებულნი არიან, რომ იგი სრულებით არ შეიცავს პირობებს არსებული ეკონომიური კრიზისის თავიდან ასაცილებლად.

ამერიკა მოითხოვს ვალების გადახდას.

ბორდო. 4 აგვისტო (რადიო). სენატის ფინანსიური კომისიის თავმჯდომარე სენატორ მაკ კუმბერმა განაცხადა, რომ ინგლისმა უნდა გადაუხადოს თავისი ვალები ამერიკას, ვინაიდან მას შეუძლია ამ ვალების გადახდა.

იტალიის წარმომადგენლები.

რომი. 3 აგვისტო (რად.). ლონდონის 7 აგვისტოს კონფერენციაზე იტალიის წარმომადგენლებათ იქნებიან მინისტრები შანცერი და პარატორე.

ვალები

რომი. 3 აგვისტო (რად.). ბალფურმა მიმართა მოკავშირეებს ნოტით, რომელშიც ნათქვამია, რომ ინგლისს არ შეუძლია უარი სთქვას კრედიტებზე, რადგანაც უნდა გადაუხადოს თავისი ვალები შეერთებულ შტატებს.

ლონდონის კონფერენცია

ნაუენი. 3 აგვისტო (რად.). გაზეთ „ჟურნალის დ'დებას" ცნობით, როგორც სჩანს ლონდონის კონფერენციის პროგრამა არ აკმაყოფილებს საფრანგეთს, რომელსაც სურს, თუ შესაძლებელი იქნება, მოხსნას დღის წესრიგიდან ნახევარი იქ მოხსენებული საკითხებისა.

პრესა ბალფურის ნოტის შესახებ

ბორდო. 3 აგვისტო (რად.) ეხებიან რა ბალფურის ნოტას, გაზეთებს იგი მიაჩნიათ უფრო საზოგადოებრივი აზრისადმი მიმართვად, ვისემ დიპლომატიურ აქტად. გაზეთი „პტი პარიზიენი" აღნიშნავს ნოტის დიდსულოვნებას, გარკვეულობასა და გულწრფელობას.

უმაღლესი საბჭო.

ნაუენი. 3 აგვისტო (რად.) ორშაბათს ლონდონში შეიკრიბება უმაღლესი საბჭო.

ბანკირების კომისია

ნაუენი. 3 აგვისტო (რად.). გაზ. „დეილი ტელეგრაფის" ცნობით მომავალ კვირაში მოიწვევენ ბანკირების კომისიის სხდომას, რომელზედაც განიხილავენ კონტრიბუციისა და გერმანიის აღდგენის პირობების საკითხებს.

მოკავშირეთა ვალები.

ბორდო. ბალფურმა მიმართა სახელმწიფოებს ნოტით, რომელშიც იგი მოითხოვს მოკავშირეებისას, ინგლისისა და გერმანიის ინგლისის სახელით, სამხედრო ვალების გაუქმებას, მაგრამ ინგლისმა უნდა მოითხოვოს მოკავშირეთაგან ვალების დაფარვა იმდენათ, რამდენათაც თვით მას დასჭირდება ამერიკის ვალების გადახდა. ლორდ ბაზინადარმა განაცხადა თემთა პალატაში, რომ ინგლისის დელეგაცია, რომელსაც დავალებული აქვს მოლაპარაკება ინგლისის შეერთებულ შტატების ვალების კონსოლიდაციის შესახებ, ჩავა ვაშინგტონში 5 სექტემბერს.

მოლაპარაკება ახლო აღმოსავლეთის საკითხის შესახებ.

ბორდო. 3 აგვისტო (რადიო). მო[illegible] შორის ახლო-აღმოსავლეთის საკითხის შესახებ კიდევ გრძელდება.

დომბალის პროცესის გამო.

მოსკოვი. 2 აგვისტო (რადიო). ვარშავის სასამართლომ გამოაქვეყნა დასაბუთებული განაჩენი დომბალის საქმის შესახებ. განაჩენი შეიცავს 22 გვერდს, სასამართლო ამბობს, რომ სეიმში კომუნისტური ფრაქციის დაარსების დროს, დეპუტატების სეიმში მოღვაწეობის განხილვა არ შედის სასამართლოს გამოძიების საქმეში, მაგრამ სეიმის გარეშე არ არსებობს კომუნისტური ფრაქცია. დეპუტატი დომბალი პასუხს აგებს სასამართლოს წინაშე მიტინგებზე გამოსვლისა და ყოველგვარ კომუნისტურ მოღვაწეობის შესახებ, როგორც სხვა მოქალაქე. სასამართლოს აინტერესებდა საკითხი — უერთდებოდა თუ არა დომბალის მოღვაწეობა პოლონეთის კომუნისტური პარტიის მოქმედებას დ ამ საკითხებზე სასამართლო დასტურით უპასუხებს.

სასამართლო აღნიშნავს, რომ მოწმეების ჩვენება დომბალის სასარგებლოდ ვერ სარგებლობს ნდობით. ეხება რა სასჯელის საკითხს სასამართლო აღნიშნავს, რომ დომბალის მოღვაწეობა საშიში იყო, ვინაიდან ის სწარმოებდა ომიანობის დასასრულს, მძიმე ეკონომიური კრიზისის დროს, როცა ფართე მასების განწყობილება შესაძლებელს ხდიდა სასტიკ გამოსვლებს.

სასამართლოს აზრით საჭირო იყო დომბალის უმაღლეს სასჯელით—8 წლის საკატორღო სამუშაოთ დასჯა. მაგრამ მიიღო რა მხედველობაში მხურვალე ტემპერამენტი, დომბალის დაულაგებელი განათლება და დეპუტატის ხელშეუხებლობის პრინციპის შეუთვისებლობა, სასამართლომ შეუმსუბუქა განაჩენი 5 წლის კატორღამდე.

ძალადობა ებრაელებზე.

მოსკოვი. 2 აგვისტო (რადიო). ებრაელების ფრაქციამ შეიტანა პოლონეთის სეიმში საჩქარო შეკითხვა ვილენის ოლქში დაბა რადუნკის მცხოვრებლების მიერ ებრაელების შევიწროების შესახებ. ძალადობა ჩაუდენია ცხენოსანთა რაზმს, რომელიც მისულა რადუნკში თითქოს დეზერტირების დასაჭერად. რაზმმა ჩაიდინა მუხანათურ ძალადობათა მთელი რიგი ებრაელების მიმართ: გაცარცვეს სავაჭროები და კერძო ბინები და გაიტაცეს აუარება ძვირფასი ნივთები.

ირლანდია.

სამოქალაქო ომი.

რომი. 4 აგვისტო (რადიო). ირლანდიელ აჯანყებულებმა დასწვეს კლიფენში რადიო დეპეშის სადგური. რეგულიარულ ჯარებმა წაართვეს აჯანყებულებს ქალ. ტიპერერე. დევალერა 400 აჯანყებულით ელომელასთან განაგრძობს წინააღმდეგობის გაწევას.

კორკის გამაგრება.

ნაუენი. 4 აგვისტო (რადიო). აჯანყებულნი ამაგრებენ კორკს ხანგრძლივი ალყის შემორტყმის მოლოდინში. ამ დღეებში მოელიან მთავრობის ჯარების მიერ შეტევის დაწყებას.

იტალია.

კაბინეტის პარტიული შემადგენლობა.

ბორდო. 4 აგვისტო (რადიო). ფაქტას ახალი კაბინეტი შესდგება 3 კათოლიკისაგან, 3 ლიბერალ-დემოკრატისაგან, ერთი სოციალისტისაგან და სამი (გაურკვევლად არის გადმოცემული).

მთავრობის დეკლარაცია.

ბორდო. 4 აგვისტო (რადიო). 10 აგვისტოს ფაქტას კაბინეტი პირველად წარსდგება პარლამენტის წინაშე.

საერთო გაფიცვა.

ბორდო. 4 აგვისტო (რადიო). ზოგიერთ ქალაქებში მუშაობა ნორმალურად მიმდინარეობს. ლივორნოდან და ტრიესტიდან იტყობინებიან ინციდენტების შესახებ. მილანსა და ბოლონში გაფიცვა დასრულდა.

ფაშისტების თავდასხმა.

ბორდო 4 აგვისტო (რადიო). ტრიესტში ფაშისტები თავს დაესხნენ კომუნისტურ გაზეთ „ილ-ლავატორეს" რედაქციას.

ფაშისტები და სოციალისტები.

ბორდო. 4 აგვისტო (რადიო). ფაქტას ქონდა თათბირი სოციალისტებისა და ფაშისტების ლიდერებთან, რათა გამოენახა შემარიგებელი ფორმულა, რომელიც შეძლებდა სახელმწიფოში წესიერების აღდგენას.

საფრანგეთი და რუსეთი

მოსკოვი. 3 აგვისტო (რადიო). ინგლისის პრესის ერთი ნაწილი ამტკიცებს, რომ საფრანგეთის რადიკალურ პარტიის ლიდერი ქ. ლიონის მეჯრო გარრიონი აქეზებს საფრანგეთის მთავრობას აწარმოვოს რუსეთთან დაახლოვების პოლიტიკა. გაზ. „დეილი გერალდი" უმატებს ამას, [illegible] რობის ზოგიერთი წევრები. სახელმწიფო გავლენიანი მოღვაწენი დაჟინებით მოითხოვენ საფრანგეთის და რუსეთის შორის შეთანხმებას. თუ რომ პუანკარე გადიხრება იქით, რომ გადასდგას ამ მიმართულებით რაიმე ნაბიჯები, გარრის დაუყოვნებლივ გაემგზავრება რუსეთს და დაბრუნდება საფრანგეთში პარლამენტის ახალი სესიის დაწყებისას.

რუსეთ-იაპონიის ხელშეკრულება.

მოსკოვი. 3 აგვისტო (რადიო). იაპონურ გაზეთების ცნობით, იაპონიის მთავრობა შეეცდება რუსეთ-იაპონიის ხელშეკრულების დადება ევაკუაციის დაწყებამდე. თუ ხელშეკრულება ამ ვადისათვის ხელმოწერილი არ იქნება, მაშინ იაპონიის მთავრობა დაიტოვებს მოქმედების თავისუფლებას რუსეთის იარაღის საწყობების დაცვის საქმეში.

სტოკჰოლმში მომხდარ გაფიცვების გამო.

მოსკოვი. 3 აგვისტო (რადიო). სტოკჰოლმში მომხდარი ტელეფონისტების გაფიცვები, გაფიცულთა გამარჯვებით დამთავრდა.

რომში

ბორდო. 3 აგვისტო (რადიო). გუშინდელი დღე მშვიდათ ჩატარდა. ტრამვაისა და ავტომობილების მოძრაობა ცოტათი გაძლიერდა. გამოვიდა გაზეთი „ოსერვატორე რომანო."

„სიწყნარეა"

ბორდო. 3 აგვისტო (რადიო). იტალიის სხვა ქალაქებში სიწყნარეა... გარდა გენუისა, სადაც დაჭრილია 2 კომუნისტი; დაჭრილები არიან აგრეთვე ლივორნოში. ფაშისტების ჯარის-კაცები იკავებენ ადგილებს გაფიცულთა მაგიერ. ტურინში გაიფიცა 800 მელითონე მუშა.

ახალი კაბინეტი.

ბორდო. 3 აგვისტო (რადიო). ზოგიერთები ცვლილების მოხდენით ფაქტა ადგენს ახალ კაბინეტს. ტურინის პრეფექტი ტადდი ინიშნება შინაგან საქმეთა მინისტრად, სოლერი—სამხედრო მინისტრად, ალესის—იუსტიციის მინისტრად. ორი უკანასკნელი ეკუთვნიან ჯიოლიტის პარტიას. სახელმწიფო კონტროლიორად დანიშნეს პარატორე, ნიტტის ჯგუფისა, განთავისუფლებულ ოლქების მინისტრად დანიშნულია ლუკანი—დემოკრატი. დანარჩენი მინისტრები ძველი კაბინეტის წევრები არიან.

ფაშისტები იმუქრებიან.

ბორდო. 3 აგვისტო (რადიო). ფაშისტები იმუქრებიან, რომ ხვალ ისინი მობილიზაციას გაუკეთებენ ყველა თავის ძალებს, თუ კი სოციალისტები მომავალშიც განაგრძობენ გაფიცვის დახმარებას. მაგრამ ფაშისტები თავის მოქმედებას უკავშირებენ მთავრობის მოქმედებას.

წესიერების დაცვა.

რომი. 3 აგვისტო (რადიო). დღეს გაიმართება მინისტრთა საბჭოს პირველი სხდომა, რომელზედაც განიხილავენ საკითხს საზოგადოებრივი წესიერების აღდგენის შესახებ.

ფაქტას ცირკულიარი.

რომი. 3 აგვისტო (რადიო). კაბინეტის თავმჯდომარე ფაქტა შეუდგა თანამდებობის ასრულებას: მან დაუგზავნა პრეფექტებს ცირკულიარი, რომელშიც მოუწოდებს მათ დაეხმარონ მთავრობა მის მუშაობაში.

ფაშისტები.

მოსკოვი. 3 აგვისტო (რადიო). რავენაში ფაშისტებმა დასწვეს რამოდენიმე მუშათა კლუბი.

„ავანტის" განცხადება.

მოსკოვი. 3 აგვისტო (რადიო). „ავანტი" აცხადებს, რომ ამიერიდან პარლამენტის სოციალისტური ფრაქციის წევრები, რომელნიც ბურჟუაზიასთან თანამშრომლობენ, გარიცხული უნდა იქნენ პარტიიდან.

პოლონეთში

უკმაყოფილება ახალი კაბინეტით.

ნაუენი. 4 აგვისტო (რადიო). პოლონეთში ახალი კოალიციონური კაბინეტის შექმნის გამო, უკმაყოფილება იზრდება. გაზ. „პოლსკი კურიერ" იტყობინება, რომ ახალი მინისტრების გვარები იწვევენ მხოლოდ გაკვირვებას ნაციონალურ წრეებში, რომელნიც ხსენებულ მთავრობას ნდობას არ გამოუცხადებენ.

პადერევსკის ჩამოსვლა.

ნაუენი. 4 აგვისტო (რადიო). სექტემბრის პირველ რიცხვებში მოელიან ვარშავაში პადერევსკის ჩამოსვლას.

ახალი კაბინეტი.

რომი. 3 აგვისტო (რადიო). საბოლოოდ შესდგა ახალი კაბინეტი შემდეგი შემადგენლობით: ნოვაკი—მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, კანენსკი—შინაგან საქმეთა მინისტრი, სოსიკოვსკი—სამხედრო მინისტრი და მარკოვსკი—გარეშე საქმეთა მინისტრი.

ბრძოლა პროფკავშირების წინააღმდეგ პოლონეთში.

მოსკოვი. 3 აგვისტო (რადიო). პოლონეთში რეაქცია ილაშქრებს პროფ- [illegible] ხანებში დახურეს ბევრი პროფესიონალური ორგანიზაცია. აკრძალულია ლექციებისა და კულტურულ-განმანათლებელი საღამოების გამართვა. საიდუმლო პოლიცია ენერგიულად მოქმედებს დ აპატიმრებს პროფ-კავშირთა მრავალ წევრებს.

შვეციაში

უმუშევრობა.

ნაუენი. 4 აგვისტო (რადიო). გემების ამშენებელ მუშებს შორის, შვეციაში, იმყოფება 10.000 უმუშევარი.

ამერიკაში

გარდინგის მარცხი.

ნაუენი. 4 აგვისტო (რადიო) რკინისგზელთა ალმასკომმა უარყო პრეზიდენტ გარდინგის შუამავლობა. ამის გამო გარდინგი გაემგზავრა ნიუ-იორკიდან.

ავსტრალიაში

არ ხდება განიარაღება.

ბორდო. 4 აგვისტო (რადიო). ავსტრიის წარმომადგენელთა პალატამ და სენატმა უარყვეს ვაშინგტონის ხელშეკრულება განიარაღებისა და წყნარი ოკეანეს შესახებ.

საბერძნეთის ავანტიურა ცილისწამება.

ნაუენი. 4 აგვისტო (რადიო). პარიზის ეკონომიური გაზეთები ავრცელებენ ხმებს, რომ გერმანიის მთავრობა მოქმედებს საბერძნეთთან ერთად, რათა ბერძნების მიერ სტამბოლის ხელში ჩაგდებით, შექმნას ევროპაში გართულებული მდგომარეობა. ბერლინის პრესა უარყოფს ამ ჭორებს.

შეტევის მიზეზები.

ნაუენი. 4 აგვისტო (რადიო). საბერძნეთის კაბინეტი ამზადებს ნოტას მოკავშირეთა მიმართ, რომელშიც აცხადებს, რომ აუცილებლობა აიძულებს ბერძნებს დაიპყრონ კონსტანტინეპოლი, რათა ამით ბოლო მოუღოს არსებულ აუტანელ მდგომარეობას.

ხტამბოლში მღელვარებაა.

ნაუენი. 4 აგვისტო (რადიო). სტამბოლში დიდი მღელვარებაა. მრავალნი იხიზნებიან ქალაქიდან და საშიში რაიონებიდან.

საბერძნეთი და ოსმალეთი.

ბორდო. 4 აგვისტო (რადიო). იტყობინებიან, რომ კურფალის რაიონში ხელ-ახლა მოხდა შეტაკება საბერძნეთის ცხენოსან რაზმსა და ოსმალების შორის. სწარმოებს ხმელეთისა და საზღვაო ძალების მომზადება, რათა ხელი შეუშალონ ბერძნებს ნეიტრალურ ზონის გადალახვა- [illegible] ბის ძალების თავის მოყრა გრძელდება, თუმცა საბერძნეთის მთავრობა აცხადებს, რომ მას სრულებით არა აქვს განზრახვა შეტევის დაწყებისა.

ამიერ-კავკასიის ფედერაციაში

საქართველო

ბორჯომის რაიონი.

საკურორტო ცხოვრება.

სანოვაგეს ფასები სეზონის დასაწყისთან შედარებით ბორჯომის რაიონის კურორტებში საგრძნობლად გაიზარდა და მომავალშიაც მომატების ტენდენცია ეჩნევა. რძე, რომელიც სეზონის დასაწყისში 5000 მან. ღირდა, გაიზარდა 15.000 მ. წაღვერში გირვანქა თეთრი პური ღირს 12—15000 მან. წითელი 8000 მ. კარაქი 65000 მ. ძროხის ხორცი 18000 მ., ცხვრის ხორცი—25000, თაფლი 45000, ნავთი 10—15000 მ. ბაკურიანში ცხვრის ხორცი—18000 მ., ძროხის ხორცი არ მოიპოვება, კარაქი 50—55000 მ. პურზე და სხვ. პროდუქტებზე წაღვერის ფასებია.

ელექტროფიკაცია.

ორი კვირაა შესრულდა რაც წაღვერში პირველმა ელექტრონის სადგურმა დაიწყო მუშაობა. სადგური სარგებლობს თეთრი ნახშირით. სადგური ჯერ-ჯერობით აძლევს 110 ვოლტიან 75.000 სანთლის ენერგიას. მოთხოვნილება ენერგიაზე დიდია. მახლობელი სოფლები ერთი მეორეზე შუამდგომლობენ მათთვის ელექტრონის გაყვანას. ახლო მომავალში ფიქრობენ სადგურის გაფართოებას. სადგური გაშენებულია წაღვერის ტყის მმართველობის მიერ ადგილობრივ კომიაჩეიკის ინიციატივით. კომიაჩეიკა ყველა მუშაობაში ცხოველ მონაწილეობას ღებულობდა. სადგურის მოწყობა სულ დაჯდა 750 მილ. მან. ქართული ბონებით. ნაღდი ფულით დაიხარჯა მხოლოდ 10 პროც. ხსენებულ თანხისა. 20 მილიონის მოწყობილობა მიღებულია კერძო პირთაგან წაღვერის ტყის ხამაგიეროდ.

ბორჯომის სახალხო მამულის მიერ გამოგზავნილი ტურბინა, დინამო და სხვა მასალები, შეადგენს ღირებულების 65 პროც. 5 პროც. შეადგენს ადგილობრივ გლეხების მიერ, კომიაჩეიკის მეთაურობით, უსასყიდლოდ შესრულებული ჰიდრო-ტეხნიკური მუშაობა.

სატყეო სკოლა.

თბილისში გაიგზავნა პირველი ჯგუფი ბავშვებისა, განათლების და ხელოვნების კავშირის წევრთა, რომელნიც ცხოვრობენ წაღვერის სატყეო სკოლაში. ნაწილი ბავშვებისა, რომელთაც არ შესრულებიათ კურორტზე დარჩენის ვადა, დატოვებულ იქნა.

წყალდიდობის შემდეგ.

წყალდიდობის მიერ დანგრეული შენობები უკვე აღდგენილია. 30 ივლის ელექტრონის აბანოებმა დაიწყეს მუშაობა. ევგენიევის აბანოს აღსადგენად მუშაობა ცხოველად მიმდინარეობს, თუმცა ჯერ კიდევ დიდ შრომას მოითხოვს. ენერგიულად სწარმოებს მუშაობა ხიდების შესაკეთებლად და ნაპირის გასამაგრებლად. საუბედუროდ მუშაობას ხელს უშლის მუშა ხელისა და მასალების (ცემენტი კირი და სხვ.) სიმცირე.

ბათუმი.

ბათუმის პორტში მოვიდა გერმანიის გემი „ბოსფორი", რომელიც სამშაბათს უკანვე წავა კონსტანტინოპოლით ჰამბურგში. ეს გემი გამოსადეგია აგრეთვე სამგზავროთაც. ჰამბურგამდე ბილეთი, სურსათის ჩარიცხვით, ღირს 30 გ. სტერლინგი. გემს გზაში მოუნდება ხუთი კვირა.

4 აგვისტო

მუშათა კლუბი. რკინის გზელთა მეცადინეობით გაიხსნა ჯუღაშვილის—სტალინის სახელობის ახალი მუშათა კლუბი. ამხ. სტალინს მოსკოვში გაეგზავნა მისასალმებელი დეპეშა.

გემები. მოვიდა სოჩაში იტალიის ფლაგით გემი „მანსო" 235.829 კილოგრამი ტვირთით, კონსტანტინოპოლიდან — საფრანგეთის ფლაგით „ტადლე" 13.481 ფუთი ტვირთით და 16 მგზავრით.

გორის მაზრა.

მაზრის დათვალიერება. ზოგიერთ თემებში შექმნილ მდგომარეობის გასაცნობად, ალმასკომის წევრებმა მოიარეს მთელი მაზრა. დათვალიერების დროს აღმოჩნდა, რომ ბევრი ვენახები, ხეხილის ბაღებში და ნათესებში მიტოვებულია მოუვლელად.

კავთისხევის თემში გლეხების ინიციატივით შედგენილია არტელი, რომელმაც დაიმუშავა 100-დეს მიწა. მიმდინარე წელს ეს მიწები დათესილი იყო იმ სათესლე მასალით, რომელიც მიაწოდა გლეხებს თესვის კომისიამ. ასეთი პერიოდიული მოგზაურობა- დათვალიერება მეტად საჭიროა ყველა იმ ბოროტმოქმედებათა აღმოსაფხვრელად, რომელიც ხშირ მოვლენად გადაიქცა სხვა და სხვა თემებსა და სოფლებში.

ბრძოლა სიმშილობასთან

საქართველოს დამშეულთა დამხმარე მთავარი კომიტეტის მიერ 22 ივლისიდან სხვა და სხვა დამშეულთა მაზრებს შორის დამშეულთა დასარიგებლად განაწილებული ხორბლეულობა.

1. 22 ივლისს განაწილდა მთავარ კომიტეტის მიერ ბათუმში შესყიდული 10.000 ფუთი ქვავი და გადაეგზავნა შემდეგ მაზრებს:

1. ახალქალაქის მაზრას	2	ვაგონი.
2. სენაკის „	2	„
3. ოზურგეთის „	2	„
4. ზუგდიდის „	1	„
5 ქუთაისის „	2	„
6. შორაპნის „	3	ვაგონი—(ამათში არხზე მომუშავეთათვის ყვირილაში—1 ვაგონი, ხარაგოულის თემს—1 ვაგონი დ სხვა დამშეულებს—1 ვაგონი)
სულ	12	ვაგონი.

2. 25 ივლისს განაწილდა და საჩქაროდ გადაეგზავნება მთავარ კომიტეტის მიერ კახეთში შესყიდული 6.000 ფუთი ხორბალი:

1. რაჭის მაზრას	3.000	ფუთი.
2. ზუგდიდის „	1.000	„
3. ქუთაისის „	1.000	„
4. ოზურგეთ. „	1.000	„
სულ	6.000	ფუთი.

3. 29 ივლისს განაწილდა და გადაეგზავნა ფოთიდან მთავარ კომიტეტის მიერ ცეკავშირიდან შესყიდული 2.000 ფუთი ხორბალი და ნარკომპროდიდან შეძენილი 500 ფუთი ხორბალი:

1. ქუთაისის მაზრას	2.000	ფუთი.
2. ოზურგეთის „ (სამხთოს თემს)	500	„
სულ	2.500	

4. 30 ივლისს განაწილდა და გადაეგზავნა ფოთიდან 7.500 ფუთი სიმინდი მთავარ კომიტეტის მიერ სოხუმში შესყიდული.

1. რაჭის მაზრას	2.500	ფუთი.
2. ოზურგეთ. „	3.000	„
3. სენაკის „	1.000	„
4. ზუგდიდ. „	1.000	„
სულ	7.500	ფუთი.

მთავარი კომიტეტის მდივანი.

ონი.

(დეპეშა).

სიმშილობა რაჭის მაზრაში ჯერაც არ შეჩერებულა. მთის სოფლებში, რომელნიც შეადგენენ მაზრის ცხრა მეათედს, პური ჯერ არ მოუმკიათ. გაჭირვებამ უმაღლეს წერტილს მიაღწია. დასარიგებელი არაფერი გვაქვს. დამშეულები მოგვმართავენ და გვთხოვენ, რაკი აქამდის შეგვინარჩუნეთ სული, ამ უკანასკნელ თვესაც დაგვეხმარეთო. გთხოვთ მოგვაწოდოთ რამე სურსათი.

აზერბაიჯანი

სასურსათო გადასახადი.

განჯის მაზრაში სასურსათო გადასახადის [illegible] დაიწყო 25 ივლისიდან ნუხის მაზრაში განუწყვეტელი წვიმები შეუძლებელს ხდის აღებულ მოსავლის გალეწვას.

მცხოვრებთა შორის სასურსათო გადასახადის შესახებ აგიტაციის საწარმოებლად დაგზავნილია რაიონებში ლიტერატურა, რომელიც მიღებული იყო სასურსათო სახალხო კომისარიატისაგან. ბაქოს მაზრაში 22 ივლისიდან 26 დე შემოვიდა სასურსათო გადასახადი: ქერი—870 ფ. და 2 გირვანქა, ხორბალი—41 ფ. და 19 გირ., კუბინის მაზრაში სიების შესწორებამ მოგვცა 200 დესეტინა ნათესის განსხვავება. ლენქორანის მაზრაში დათვლილია ხორბალით 25,531 დეს., ქერით—12,852, ფეტვით 556, მუხუდოთი—528, სიმინდით—4, „კუქუტით"—29, სელით—277, თამბაქოთი—3, კარტოფილით—205, ვენახებს უჭირავს 141 დეს. ბოსტნებს—809, ხეხილის ბაღებს—118, „ჩალტიკებს"—9,402, თივას—13,792. მსხვილი პირუტყვი მოიპოვება 3120 სული, წვრილი—10,951. რწმუნებულის ცნობით, ლენქორანის მაზრაში, სებიდაჟის რაიონებში სეტყვით და კალიებით ნათესები დაზიანებულია 27 სოფელში, სულ—17,295 დეს. ზუვანდის რაიონში დაზიანებულია ნათესები 3 სოფელში—87 დეს. 26 და 27 ივლისის განმავლობაში შემოვიდა 500 ფუთი ხორბალი.

ბიბი-ეიბათი.

აზერბაიჯანის კომპარტიის ბაილოვ-ბიბი-ეიბათის რაიონის წევრების და კანდიდატების საერთო კრებამ, მოისმინა რა ამხ. სერებროვსკის მოხსენება ნავთის სამრეწველოების მდგომარეობის შესახებ და აღნიშნა მთელი რიგი დეფექტებისა, დაადგინა: არავითარ შემთხვევაში არ გასცენ კონცესიით ბიბი-ეიბათის მოედანი, ვინაიდან ამჯობინებენ საბჭოთა მმართველობას, არ დაუშვან სპეცებისათვის გადაცემა; მოაგვარონ და სისტემაში მოიყვანონ მუშების სურსათით და ტანსაცმელებით მომარაგება და მოაწესრიგონ სავაჭრო აპარატი; ეცადონ სამრეწველოების ტეხნიკურ მომარაგების გაუმჯობესება; ბურღვის შეჩერებისათვის, რომელსაც ადგილი ჰქონდა პარასკევს, დამნაშავე მიეცეს სასტიკ პასუხის გებაში.

ბაქოს ბაზრობა.

საზღვაო ოლქის მიმოსვლის უფროსმა გაუგზავნა ბაქოს საბაზრო კომიტეტს ცირკულიარული განკარგულება კასპიის ზღვისათვის, რომლითაც ბაქოს ბაზრობისათვის გაგზავნილ საქონელზე 1 აგვისტოდან 1 ნოემბრამდე წესდება შეღავათიანი გადასახადი ფასი. ფრახტიდან 15 პროცენტის დაკლებით, რომელიც განსაზღვრულია ტარიფით კასპიის ზღვის ყველა ნავთსადგურებისათვის, მათ შორის (სპარსეთისაც) მტკვარის ნავთსადგურებზედაც ბაქომდე უკან დაბრუნებით.

აღნიშნულ ტარიფის მიხედვით გადასახდელად მიიღება მხოლოდ ის ტვირთები, რომლებიც იგზავნებიან ბაქოს ბაზრობის კომიტეტის სახელზე და ბაქოდან—აღნიშნულ კომიტეტის ნებართვით. შეღავათიანი ტარიფი საზღვაო გზებზე ვრცელდება აგრეთვე იმ ტვირთებზედაც, რომლებიც იგზავნებიან ბაქოს ბაზრობის კომიტეტის მისამართით ვოლგის და მისი შენაკადების ნავთსადგურებიდან და აგრეთვე შუა-აზიის რკინის გზის სადგურებიდან პირდაპირი მიმართულების დოკუმენტებით და უკან დაბრუნებით.

სომხეთი.

ჯემალ-ფაშას მოკვლის გამო.

ერევანი. 4 აგვისტო ჯემალ-ფაშას მოკვლის გამო გაზ. „ხორდაინ ჰაიასტანი" სწერს: „გამოქვეყნდა რა ცნობა ამ დიდი აქტის შესახებ და გააცნო მკითხველს ჯემალ-ფაშას ბიოგრაფია, ჩვენმა გაზეთმა თავი შეიკავა მომხდარ ამბების შეფასებისაგან, ვინაიდან არ იყვნენ აღმოჩენილნი არც მკვლელები და არც მკვლელობის წამქეზებელნი, თუ რა თქმა უნდა, ასეთები მოიპოვებიან. ჩვენ მოველოდით, რომ მიღებულ ზომებით გამორკვეული იქნებოდა ამ საიდუმლო მკვლელობის გარემოებანი ამიერკავკასიის მუშათა და გლეხთა მასები თავდაჭერით შეხვდნენ ამ მკვლელობას, არ აყვნენ დაავადმყოფებულ სულის კვეთებას და ამით გამოიჩინეს სრული შეგნება და ტაქტი. მიუხედავად ამისა ათასგვარი ერთი მეორეზე ფანტასტიური და პროვოკაციული ხმები ვრცელდება ამ მკვლელობის შესახებ. შეიძლებოდა ყურადღება არ მიგვექცია ამ ქუჩურ სისინისათვის და ჩაგვეთვალა იგი ჩვეულებრივ მოვლენად, იმ შემთხვევაში თუ ეს არ იქონიებდა გავლენას მასების ნაციონალურ ინსტიქტებზე და არ აღეძრა ნაციონალისტურად განწყობილ ელემენტების ინსტინქტები.

დასკვნაში გაზეთი, მეზობლად მცხოვრებ მოძმე ხალხთა თანამშრომლობის განსამტკიცებლად, იძლევა რჩევას, სასტიკად შეებრძოლონ ასეთ პროვოკაციულ ხმების გავრცელებას,

სამკურნალო პუნქტი დელიჟანის მაზრაში

ორი კვირაა, რაც დელიჟანის მაზრის ბარანინის უბანში მოქმედებს სამკურნალო პუნქტი, რომელიც გახსნილია საუბნო ალმასკომის მიერ სოფ. კულაში ყოფ- საუბნო კანცელარიის შენობაში. ნახევრად დანგრეული შენობა შეკეთებულია უბნის საშუალებებით. პუნქტში თავს იყრის მახლობელ სოფლების დიდძალი ავადმყოფები. მათი რიცხვი ყოველ დღი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რად აღწევს 50 ს. მედიკამენტები ზადდება იქვე პუნქტში და გაჭირვებულ მცხოვრებთ სრულიად უსასყიდლოდ ეძლევა, ხოლო შეძლებულებს ხელმისაწვდომ ფასებში. პუნქტში იმყოფებიან: ექიმი, ფერშალი ფერშალი ქალი, ბებია ქალი და სანიტარი.

ხლო მომავალში განზრახულია პუნქტთან 10 საწოლიანი საავადმყოფოს ახსნა.

რაიონში გავრცელებულია მუც ის სახადი. იყო აგრეთვე ხოლერის ამდენიმე შემთხვევა.

სიმინდის კულტურა.

დელიჟანის და ლორის მაზრებში ადაც ამ უკანასკნელ წლებამდე არ ყო გავრცელებული სიმინდის კულტურა, ეს მეორე წელია დაიწყეს იმინდის თესვა. შარშან სიმინდს თესავდნენ ზოგიერთი მეურნეები, ხოლო წელს თითქმის ყველგან სიმინდია დათესილი, რომელიც სავსებით ამართლებს იმედს ადგილობრივ ლეხებს.

ქართოფილი. ქართოფილის კულტურა დელიჟანის და ლორის მაზრებში შემოღებულ იქნა 3 4 წლის წინად. მაგრამ ამჟამად არიან ისეთი მეურნეები, რომელნიც 100 გუთანით თესავენ კარტოფილს. ვინაიდან ქართოფილის კულტურა ტყიან ადგილებში უფრო ხარობს, გლეხებს უხდებათ ერთი და იგივე მიწები ყოველ წელს დასთესონ ქართოფილით. ამას შედეგად მოჰყვა ქართოფილის ავადმყოფობა: შარშან „ქართოფილის ავადმყოფობა მხოლოდ ზოგიერთ ადგილებში გაჩნდა. მაგრამ წელს არის ისეთი მიწები სადაც გული ქართოფილისა დაზიანებულია ამ ავადმყოფობით. საჭიროა მიღებულ იქნას ზომები ამ ავადმყოფობასთან საბრძოლველად.

ვენახები და ხეხილის ბაღები. ვენახები და ხეხილის ბაღები დელიჟანის მაზრაში წელს კარგ მდგომარეობაშია, თუ არ მივიღებთ მხედველობაში იმას, რომ ზოგიერთ ადგილებში ვენახს გაუჩნდა „ბოლდიუბი". ხეხილიდან ძალიან დაზიანდა ვაშლის ხეები „ყვავილმჭამელათი", რომლებმაც გაანადგურა ვაშლის ყვავილი ჯერ კიდევ გაზაფხულზე.

იჯევანის მაზრაში. იჯევანის მაზრის სხვა და სხვა რაიონებში თარეშობენ ყაჩაღთა ბრბოები. ისინი იტაცებენ საქონელს და ძარცვავენ მცხოვრებლებს. მცხოვრებნი ყოველგვარ დახმარებას უწევენ ადმინისტრაციას ყაჩაღებთან ბრძოლაში.

შიმშილობა დღითი დღე მატულობს. მაისში დამშეულთათვის მიღებული იყო 4 ვაგონი ხორბალი, ამერიკულ კომიტეტისაგან—1050 ფ. კრუპა. მაისის განმავლობაში მაზრაში იყო 524 შემთხვევა შიმშილობის ნიადაგზე სიკვდილისა. დამშეულთა საერთო რიცხვი მაისში აღწევდა 49620 კაცამდე.

სწარმოებს ვაგონების გენერალური შეკეთება და იმათგან იანვარში და აპრილში იქნა გამოშვებული სამ სამი ვაგონი, მაისში 4 და ივნისში 5 ვაგონი სულ 21 ვაგონი.

◆ **საქონელი წითელ-არმიელებისათვის.** სასურსათო სახ. კომისარიატს არა ერთხელ მიმართა წითელარმიელების დელეგაციამ, რომ კომისარიატმა მისცეს წითელ-არმიელეს საწვრილმანო მაღაზიებიდან საქონელი იმავე პირობებში, როგორც ეძლევათ პროფკავშირების წევრებს ე. ი. 10 პროცენტის დაკლებით. ამის გამო სასურსათო სახალხო კომისარიატმა დასდვა ხელშეკრულება საქ. მთლიან სამხედრო კოოპერატივთან, რომლის თანახმად საქრთველოს მთლიან სამხედრო კოოპერატივის მაღაზიიდან (რუსთაველის ქ. № 40) საქონელი მიეცემათ ყველა წითელ არმიელებსა და თბილისის გარნიზონის სამხედრო მოსამსახურეებს.

◆ **თბილისის ბაზრის მდგომარეობა.** ამერიკულ ფქვილზე ფასი არ შეცვლილა. მოსალოდნელია ამ დღეებში ფასების ცოტაოდენი დაწევა. ხორბალზე ფასი მტკიცეა. ასევე მანუფაქტურაზე. ბაზარზე მოიპოება უცხოეთის, მარსელის საპონი საკმაო რაოდენობისა და აგრეთვე ადგილობრივ დამზადებული. შესახედავად საკმაო ვარგი.

მოსალოდნელია საპონზე ფასების ცოტაოდენი დაწევა. დამახასიათებელი მოვლენაა ბაზარზე საქონლის ნისიად გაშვება. წინანდელ პრინციპიდან „საქონელი ნაღდი ფულით", სავაჭრო ფირმები თანდათან გადადიან საქონლის მოკლე ვადიან კრედიტით გაშვებაზე.

დღეს თეატრებში.

რუსთაველის თეატრი.—გრანდიოზული სურათი „ჯუნგლების საიდუმლოება". I სერ. ქართული კლუბის საზაფხულო თეატრი—საღამო-სეირნობა. საზაფხულო თეატრი არტო—სპექტაკლი-სეირნობა. თეატრი წრე—კონცერტი-კაბარე. სომხური კლუბის თეატრი—საღამო სპექტაკლი. მუშათა ცენტრალური კლუბი—სპექტაკლი. ახალი თეატრი ცენ. მუშ. კლ.—კინო. თავისუფალი თეატრი—მე-2-რე ციკლი „ნიღაბის" პროგრამისა. თეატრი ამირანი—კონცერტ-კაბარე თეატრი მუშტაიდი—სპექტაკლი-სეირნობა. პროფ. კავშირთა საბჭოს კლუბი—კონცერტი. ცირკი—სადღესასწაულო დიდი პროგრამა.

თეატრი არტო 7 აგვისტო—დიდი სიმფონიური კონცერტი სტოლერმანის ხელმძღვანელობით და მსახიობ სოლისტების ვ. ლიპეცკის სტენორის და ნ. ტერდანიელიანის (კოლორსოპრანო) მონაწილეობით.

კინო-თეატრები.

სოლეი—სამღვთო ბრილიანტი. არფასტო—გრაფინია ტარნოვსკის მემუარები. ეთერი (სახელმწ. ოპერის ბაღი) კინო-დრამა. ოაზისი—(სასახლის 5) ნიღაბი თეთრი კბილებით.

მუშათა ცენტრალური კლუბის თეატრი

მუდმივი საკუთარი დასის უყოლობის გამო მ. ც. კ. თეატრი გადადიოდა სხვა და სხვა კოლექტივების ხელში გრძელ ვადიანი ხელშეკრულებით და ქირავდებოდა კერძო საღამოებისათვის, ჩამოყალიბებული მუშაობა, წარმოდგენების გამართვა არ სწარმოებდა ერთი მთლიანი იდეით, წარმოდგენების დადგმას შემთხვევითი ხასიათი ჰქონდა და მას გამგეობა უქეროდა დაშვების და ვარგისიანობის თვალსაზრისით.

1 აპრილიდან თეატრში მუშაობდა 3 კოლექტივი: „თავისუფალი კომედია", „ნიღაბების თეატრი" და სოციალურ აღზრდის განყოფილების დასი, რომელმაც შემოსავლის სიმცირის გამო შესწყვიტა მუშაობა. თეატრის ექსპლოატაციის მიზნით თეატრის დარბაზი ეძლეოდა ქონდრის კაცების დასს, რომლებმაც ივნისში და ივლისში გამართა კლუბში 14 წარმოდგენა.

ჩამოთვლილ კოლექტივების გარდა მუშათა ცენტრალურ კლუბის თეატრში 1 აპრილიდან გამართულ იქნა: 5 წარმოდგენა უკრაინულ ენაზე, 4 ქართულზე, ხოლო სულ 55 წარმოდგენა, 2 კონცერტი, 2 მოხსენება პოლიტიკურ თემაზე და 2 საბალეტო საღამო. საბავშო კლუბის ძალებით გამართულ იქნა 6 წარმოდგენა და 2 თვითმოქმედების საღამო; ამერიკულ კომიტეტის საბავშო კლუბის მიერ—3 წარმოდგენა და „ნაადრევი სხივის დასის მიერ—2 წარმოდგენა.

1 მაისს შესდგა ცენტრალურ მუშათა კლუბის სტუდიის საღამო და დადგმულ იქნა სტუდიელების მიერ პიესა „მარატი", ბალეტის და საკონცერტო განყოფილებით.

ქრონიკა

◆ **ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატში.** ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის სანიტარულ-საეპიდემიო განყოფილების ცნობების მიხედვით, გადამდებ სნეულებათა მოძრაობა 24—31 ივლისამდე რესპუბლიკაში ამგვარი იყო: მუცლის სახადით—3 შემთხვევა, პარტახტიანი—10, შებრუნებითი—11, დიფტერიტი—2, როჟა—1, ხოლერა—17 შემთხვევა (თბილისის გარდა), მათ რიცხვში დუშეთის მაზრაში იყო 7 შემთხვევა, ბორჩალოს მაზ.—2, ფოთი—5, თბილისის—2 და რკინის გზა—1.

◆ **მტკვარში ხოლერის ვიბრიონები არ მოიპოება.** ყოველდღიურად ცენტრალური ლაბორატორია სინჯავს და იკვლევს მტკვრის წყალს. დღემდე არც ერთხელ არ აღმოჩენილა ვიბრიონები. სინჯავენ წყალს სხვადასხვა ადგილებზე.

◆ **ხოლერა წილკანში.** დუშეთის მაზრის წილკანის რაიონებში ხოლერის გაჩენის გამო, იქ გაემგზავრა ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის სანიტარულ-საეპიდემიო რაზმი ექიმის, 2 ფერშლის და სანიტარის შემადგენლობით სასწრაფო ზომების მასალებად და ბრძოლის ორგანიზაციის მოსაწყობად. რაზმს მიეცა ფართო უფლებები და მას დაუმორჩილეს ამ რაიონის მთელი საექიმო პერსონალი. ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატში მიღებულ ცნობებით რაზმი უკვე მივიდა წილკანში და შეუდგა მუშაობას.

◆ **პოლიტიკური განათლების მთავარ განყოფილებაში.** პოლიტიკური განათლების მთავარი განყოფილების კლუბის ქვე-განყოფილების მთავარ და სასწრაფო მიზანს უკანასკნელ დროს წარმოადგენს პროვინციებში სამკითხველოების ქსელის მოწყობა. მის მიერ მიღებულმა სასწრაფო ზომებმა კარგი შედეგები მოიტანა. სამკითხველოების აღრიცხვამ (მოუსრულებელ ცნობებით) გვიჩვენა, რომ ამ ჟამად მუშაობს: თბილისის მაზრაში 24 სამკითხველო, შორაპნის მაზ.—44, ოზურგეთის მაზ.—90, სენაკის მაზ.—41, ახალ-ქალაქის მაზ.—6, თელავის მაზ.—13, ზუგდიდის მაზ. 18, სამხრეთ ოსეთის ოლქში—45, თიონეთის მაზ.—2, ბორჯომის რაიონში—2, ხაშურის რაიონში—5, ბათომის რაიონში—7, ხოლო სულ 333 სამკითხველო. ყველა სამკითხველოებს თავის დროზე აწვდის გაზეთებს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, ტრესტის საშუალებით. რაც შეეხება კლუბებს, ასეთები ყველა მაზრებში არ მოიპოვება. ასე მაგალითად, თბილისის მაზრაში არის 4 კლუბი, ბათუმში—6, ახალ-ქალაქის მაზ—2, ახალ ციხის, თელავის და ლეჩხუმის მაზრებში—თითო-თითო, სულ 15 კლუბი. დანარჩენ სოფლებიდან ცნობები ჯერ არ არის მიღებული. საშუალებების უქონლობა აფერხებს პროვინციებში კლუბების მოწყობის საქმეს, მით უმეტეს რომ ახალი ეკონომიური პოლიტიკა არ არის შეთვისებული, რადგან არ მოიპოება პატარა მაზრებში და ქალაქებში მსახიობთა სათანადო ძალები.

კლუბის ქვე-განყოფილება

◆ **„ქურა"** გამოვიდა საქ. პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის ორგანო ჟურნალი „ქურის" № 2. შემდეგი შინაარსით. 1) დეკლარაცია, 2) სანდრო ეული, „მეფე მემანქანე". 3) ნ. ზომლეთელი, დილა შრომის უბანში" 4) იონა ვაკელი, „შუადღე ქარხანაში" 5) პეტრე სამსონისძე „ცეცხლის ხმები" 6) ი. ლოლაშვილი „სტიქია" 7) ი. ფეოდოსიშვილი „ცეცხლის აზრი" 8) ი. შრომის შვილი „ჩვენ წინ მივდივართ" 9) ქ. ილოშვილი „რისხვა" 10) დ. ხიბაძე „მუშას" 11) ვ. ალექსანდროვსკი „აჯანყება" 12) იურინი „ქარხანა. 13) დუბენსკი „ჩვენ" 14) თალაკვაძე „ნგრევა შენების პროცესში" 15) ალ. გუცევიჩ, „ზარები" 16) ს. თ ია „ტყვეობაში" 17) პროლესთი, „ჩვენი ქურა და მისი მოკრიტიკეები" 18) „ჩვენი კოშკი" რევ. რომანსი ნოტებზე". 19) სუფრისპირელი „ს. თოდრიას იუმორი". ქრონიკა. ჟურნალი სუფთად არის გამოცემული და ღირს 25 ათასი მანეთი.

◆ ალ. მაისურაძის სახალხო მომღერალთა გუნდი ამ მოკლე ხანში გამართავს თბილისის სხვა და სხვა რაიონებში სახალხო კონცერტებს.

◆ 6 აგვისტოს პლეხანოვის ქ. № 116—გაიმართება გორია—ქმოსთა შეჯიბრება დასას. საღ. 6 ნახ. საათ.

◆ **საქართველოს ფინანსთა სახ. კომისარიატის საბაჟო განყოფილება.** აცხადებს ვაჭრების და დაინტერესებულ დაწესებულებათა საყურადღებოდ, რომ **თბილისის საბაჟოს** მოქმედების დაწყების გამო, ყველა ის საქონელი, რომელიც იგზავნება თბილისის და მისი რაიონებისათვის, შეიძლება გამოიგზავნოს ზღვის სანაპირო საბაჟოებიდან ტრანზიტის წესით პირდაპირ თბილისის საბაჟოში, საბაჟოს ყველა საჭირო წესების შესასრულებლათ.

◆ **ჩეხო სლოვაკიის მწარმოებლების წინადადება.** ჩეხო სლოვაკიის მსხვილ მწარმოებელთა ჯგუფმა რადიოთი მიმართა საქართველოს სოც. საბ. რესპუბლიკის მთავრობას წინადადებით მსხვილ სავაჭრო-სამრეწველო საზოგადოების დაარსების შესახებ სხვა და სხვა წარმოებათა მოსაწყობათ, როგორიცაა მაგ. საფეიქრო, სატყეო და ვაგონის სააღმშენებლო წარმოებანი. ჯგუფი მზად არის ამ საქმისათვის გადასდოს 100 მილ. ჩეხო სლოვაკიის კრონი. საზოგადოება იმუშავებს სახელმწიფო და კოოპერატივთა სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებებთან ერთად.

◆ **დიდი საღამო.** დღეს, ქართულ წითელ არმიელთა კლუბში (ყოფილი ქართული კლუბი) იმართება დიდი სალიტერატურო-სამუსიკო საღამო პროლეტართა მწერალთა ასოციაციის სასარგებლოთ.

◆ **თბილისის ტრამვაი.** (იანვარი—ივნისი). ამა წლის პირველი ნახევრის განმავლობაში თბილისის ტრამვაიში იმოგზაურეს 4 035155 კაცმა. ეს რიცხვი თვეებზე განაწილდება შემდეგ ნაირად:

იანვარი	736,357
თებერვალი	381.732
მარტი	359.401
აპრილი	764.708
მაისი	846.642
ივნისი	946.195

როგორც ამ ცხრილიდან ჩანს მგზავრების რიცხვი თანდათან იზრდება. თებერვალში და მარტში დროებითი დაკლება აიხსნება მაშინ შემოღებულ ძლიერ მაღალი ტარიფით, ფულის ნიშნების მერყეობის გამო და, როგორც კი ტარიფმა დაიწია, მგზავრთა რიცხვი იანვართან შედარებით შესამჩნევად გაიზარდა.

ამ ექვსი თვის განმავლობაში შემოსავლის თანხა უდრიდა 42.135.683 ათას მანეთს, საიდანაც შტატის შესანახად დაიხარჯა 11.394.790 ათასი მანეთი.

პარტიული ცხოვრება

ცირკულიარულად № 162.

ყველა პარტიულ ორგანიზაციებს.

კომპარტია—ეს მომზადებული და შეგნებული ავანგარდია მუშათა კლასის. როგორც ასეთი ის არის პროლეტარიატის უერთგულესი და აქტიური ძალა მის კლასსიურ ინტერესების დაცვაში და მშრომელთა დიქტატურის გაძლიერება გამაგრებაში. რადგანაც კომპარტიას ისტორიულმა მსვლელობამ წილათ არგუნა ასეთი საპატიო და მეტათ დიდმნიშვნელოვანი მისსია მუშათა კლასსის წინაშე, ამისთვის უპირველეს ყოვლისა საჭიროა, რათა პარტიის წევრები იყვნენ პოლიტიკურათ შეგნებულნი და მომწიფებულნი, ამიტომ აუცილებელია მათ მიერ წერა კითხვის ცოდნაც.

თუ წევრებმა არ იციან წერა კითხვა, შეუძლებელია ლაპარაკი მათ პოლიტიკურად სერიოზულ მომზადებაზე, რომელიც საჭიროა მისთვის, რომ გაერკვნენ მორიგ პარტიულ პოლიტიკურ საკითხებში, იქნენ მტკიცე და ურყევი მარქსისტულ მსოფლმხედველობაში და კომპარტიის ტაქტიკაში. ცხადია, ზედმეტია ლაპარაკი ამ უკანასკნელზე იმ შემთხვევაში, თუ ჩვენი პარტიის რაზმებში წევრების 25—30 პროც. იქნებიან წერა კითხვის უცოდინარნი, როგორც ეს ირკვევა ჩვენ მიერ მიღებული ცნობების მიხედვით.

ზემოაღნიშნულის გამო საქართველოს კომუნისტურ პარტიის ცენტრალური კომიტეტი, მისი ცირკულიარის № 133 დამატებით, წინადადებას გაძლევთ მომავალში პარტიაში შემოსულ წერა კითხვის უცოდინარ წევრებს სასწრაფოთ შეასწავლოთ წერა კითხვა იმ სკოლებში, რომლებიც საჩქაროთ უნდა მოაწყოს პარტკომებმა უმთავრეს პოლიტიკურ განათლების და განათლების სახალხო კომისარიატის სათანადო ორგანოების დახმარებით (სკოლებში დაშვებული უნდა იქნან სამაცადინოთ უპარტიონიც), რომ პარტიულმა ამხანაგებმა, მანამ გაივლიან საკანდიდატო სტაჟს და ჩაირიცხებოდნენ საქ. კომპარტიის ნამდვილ წევრებათ, საკმაოთ შეისწავლონ წერა-კითხვა.

ც. კ. მდივანი: **ხაბაშვილი.**

ცირკულიარულად.

ყველა სამაზრო ქალთა განყოფილებებს.

ს. კ. პ. ც. კ. ქალთა განყოფილება წინადადებას გაძლევთ ყველა სამაზრო ქალთა განყოფილებებს ქალთა შორის აგიტაციის გაძლიერების მიზნით იქონიოთ ადგილობრივ გაზეთებში „ქალთა ფურცელი". იქ კი, სადაც უკვე არსებობს, ნიღებული იქმნას ყოველივე ზომები მის სათანადო სიმაღლეზე დასაყენებლად.

ქალთა ფურცელში უნდა იყოს შემდეგი განყოფილებები:

1) საზოგადო პოლიტიკური, განსაკუთრებულ შემთხვევაში ქალთა როლის აღნიშვნით თუ ეს შესაძლებელია.

2) საბჭოთა აღშენებლობა: განუმარტეთ საბჭოთა ორგანოებს მუშაობა, უმაღლესათ სახალხო სასამართლოების მიზანი და დანიშნულება, მათში ქალთა მონაწილეობის მიღება, საბჭოთა ხელისუფლების დროს ქალთა უფლებები, სოციალურ აღზრდის საქმის დაყენება, შრომის დაცვის საკითხი, დედობრივობის და ბავშვთა დაცვის საკითხი.

3) ადგილობრივი ქრონიკა უნდა იყოს შედგენილი თვით მუშა-ქალების მიერ.

4) ლიტერატურული განყოფილება: მოთხრობები, ლექსები და ფელეტონი.

5) ოფიციალური განყოფილება, სადაც თავსდება სავალდებულო კრებების შესახებ რაიმე მასალა.

ყველა მასალები, რომელიც მოთავსებულია „ქალთა ფურცელში" უნდა იყოს დაწერილი დაბიო გასაგებ ენაზე. ქალთა ფურცელი უნდა იყოს ადგილობრივ ცხოვრების სარკე და უნდა გამოხატავდეს ადგილობრივ მუშა ქალების ცხოვრება-მდგომარეობას, მათი ეკონომიურ მდგომარეობას სახელმწიფო და კერძო წარმოებაში.

პროფესიონალურ კავშირში და მის ორგანოებში, უმუშევრობის მიზეზები და მასთან ბრძოლის ზომები, მუშა ქალთა კოოპერატივში მუშაობა, მუშა ქალის და გლეხ-ქალის სიმშილობასთან ბრძოლა.

უნდა იბეჭდებოდეს წერილები სოფლის მეურნეობის შესახებ დაწერილი ძლიერ პოპულიარულათ, რადგან ჩვენი გლეხი-ქალები დიდ მოთხოვნილებას განიცდიან სასოფლო მეურნეობის ელემენტარულ ცოდნაში.

ამის გარდა გასაგებ ენაზე ქალთა ფურცელში უნდა იყოს გაშუქებული სანიტარული, განათლების და ჯანმრთელობის საკითხი და ბრძოლა ეპიდემიებთან, აგრეთვე ქალთა ფურცლების საშვალებით უნდა აწარმოოთ ბრძოლა სარწმუნოებრივ ფანატიზმის წინააღმდეგ.

ქალთა ფურცლებში უნდა თანამშრომლად იყვნენ ყველა ლიტერატურული ძალები, მაგრამ ქალთა განყოფილების უმთავრესი ზრუნვა გამოიხატება იმაში, რომ მიიზიდონ მუშა და გლეხთა ქალები. ამ მიზნით ადგილებზე ფაბრიკა ქარხნებში, დაწესებულებებში და სოფლებში უნდა გამოყოფილი იქნეს სპეციალური ამხანაგები პარტიიდან ან მუშა-ქალებიდან პასუხისმგებელი კორესპონდენტები, რომლებსაც ევალებათ შეიქმნან სათანადო კადრი კორესპოდენტების მუშა და გლეხ-ქალებიდან, რომლებიც ხელმძღვანელობენ ამ მუშაობას: თემის ამორჩევა, გეგმების გამომუშავება, წერა—კითხვის უცოდინართა ჩაწერა, საინტერესო ფაქტები მათი ცხოვრებიდან და მუშაობიდან.

წინადადება გეძლევათ ქალთა ფურცლის თითოეული ეგზემპლიარი გადმოგზავნოთ საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტის ქალთა განყოფილებაში.

ს. კ. პ. ც. კ. მდივანი **ხაბაშვილი.**
ქალთა განყოფ. გამგე **განჯიანი.**

მუშათა ცხოვრება

კინემატოგრაფი „ოაზისი"

ყოფილ ქართულ კლუბთან არსებობს კინემატოგრაფი ოაზისი ეს კინო სამხედრო უწყების განკარგულებაშია. ამის გამო ამ დაწესებულების მუშა-მოსამსახურეთა მდგომარეობა გამოურკვეველი დამძიმეა.

შრომის ხელფასს გვაძლევენ არა კავშირების ტარიფით, არამედ წითელ არმიელის—თვეში 300.000. რამდენათ ჩვენ ვიცით, არსებობს კანონი, რომლის ძალითაც ჩვენ უნდა მოგვეცეს საკავშირო ტარიფის მიხედვით გასამრჯელო. ეს ოფიციალურად არის დაბეჭდილი ს. პ. კ. ს. ბიულეტენში. სასურველია ამ კანონის შესრულება შრომის დაცვის ორგანოებისაგან მოეთხოვებოდეს სამხედრო უწყებას. მოსამსახურეები არ ვღებულობთ არც კომუნალურ სამსახურის ფულს.

პ—ე ქ—ძე.

სასადილო „პროლეტარი"

სასადილო აგერ 4 წელიწადია არსებობს და არც ერთხელ მას დამზღვევ კასაში ზღვეულების ფული არ შეუტანია. სასადილოს ხაზეინი ამ კანონს, როგორც ხედავთ, არღვევს მაგრამ იოლად გადის. ის ამის გამო არ ისჯება. ამით გათამამებული თავს არხეინათ გრძნობს. საჭიროა ასეთ ურჩ ხაზეინების პროლეტარულს სასამართლოში მიცემა და შრომის კანონების დარღვევისათვის დასჯა.

მუშა-მოსამსახურეებს არ გვაქვს არც პირსაბანი და არც საპონი. არ ვღებულობთ კომუნალურ ფულებს. შვებულებაზე ლაპარაკიც ზედმეტია. გადადუღებულ წყალსაც მოკლებული ვართ. საანგარიშო წიგნაკებიც არ დაურიგებიათ. კარგი იქნება შრომის დაცვის ორგანოები ყურადღებას მოგვაქცევდნენ.

ო—ტი

რესტორანი „პავილიონი"

რესტორან „პავილიონში" რომელიც საოპერო თეატრის ბაღში არსებობს, ვმუშაობთ 15 მუშა მოსამსახურე. საკავშირო ცხოვრებას ძალიან მოწყვეტილი ვართ. ამიტომაც ჩვენში არავითარი კულტურული მუშაობა არ სწარმოებს. არც წარმოებას აქვს გაზეთი გამოწერილი და არც მუშებს. სასურველია მეტი მჭიდრო კავშირის დავიკავებდეთ კავშირთან. კავშირმაც მეტი ყურადღება უნდა მოგვაქციოს.

ფ—ლ.

ლიმონის წყლის ქარხანა.

პატარა ვანქის ქ. № 2 არსებობს ოგანეზოვის ლიმონის წყლის ქარხანა. ქარხანა მუშაობს ისე, თითქოს ჩვენში საბჭოთა წესწყობილება არ იყვეს და შრომის კანონები არ არსებობდეს. ქარხნის მეპატრონე ოგანეზოვი არაფერში და არავის ანგარიშს არ უწევს. მისთვის განსაზღვრული სამუშაო დრო არ არსებობს, არც მუშათა სოციალური დაზღვევა, არც დამზღვევი კასა და არც სხვა რამ. მუშამოსამსახურეებს ამუშავებს როგორც მოეხალისება 10—13 საათს. ნუთუ არ უნდა დაისაჯოს შრომის კანონებით ეს თავხედი დამრღვევი?

მუშა.

რესტორანი „ამირანი"

ამ რესტორან-ბაღში მუშა მოსამსახურეთა რიცხვი ათამდეა. მუშაობა სწარმოებს მხოლოდ საღამოობით. მუშების მდგომარეობა ვერ არის საარბიელო. მოსამსახურეებს ჯერ კიდევ არა გვაქვს დარიგებული საანგარიშო წიგნაკი. საექიმო დახმარებას სავსებით მოკლებული ვართ თვით წარმოებაში. გაზეთს და წიგნს თვალით ვერ ვხედავთ. კულტურულათ ძალიან ჩამორჩენილი ვართ. მიუხედავათ ამისა კავშირი ჩვენში არავითარ კულტურულ მუშაობას არ აწარმოებს. საზოგადოთ კავშირითა დამოკიდებულება ძალიან მოისუსტებს.

ხელზე მოსამსახურე.

კინო „სოლეი"

ლენინის ქუჩაზე ამ რამოდენიმე ხნის წინათ გახსნილ კინო „სოლეიში" მუშაობს 15 კაცი. აქ შრომის კანონების დაცვას ძალზე მცირე ყურადღება ექცევა. ეს კინო დაათვალიერა ამ ორი კვირის წინათ შრომის ინსპექტორმა და ადმინისტრაციას წინადადება მისცა პროჟექტორის ბუდკაში დადგას აერის გასაწმენდი ვენტელიატორი. და იქონიოს მოსამსახურეებისათვის გადადუღებული წყალი. სუსურველია ეს წინადადება დაუყონებლივ იქნებოდეს შესრულებული. აგრეთვე კარგი იქნება თუ მოსამსახურეებს დაგვირიგებდნენ საანგარიშო წიგნაკებს, რაც კანონით სავალდებულოა.

ვ. ტ.

შამილიანცის და ხაზარიანცის ფეხსაცმელების სამკერვალო.

ამ სამკერვალოს მუშები ძალიან უყურადღებოთ ვართ მიტოვებული. თვითონაც ვერ ვზრუნავთ ჩვენს თავზე ისე, როგორც საჭიროა. ჩვენი მუშაობა მძიმე მუშაობაა. ამყრალებულ ტყავთან და მახათთან გვაქვს საქმე. არაა გადადუღებული წყალი, რომ მუშაობის დროს დავლიოთ. სახელოსნოში არაა არც პირსაბანი, პირსახოცი და საპონი. ეს უკანასკნელები ძალიან საჭირო კია. მუშაობაში ძალიან ვისვრებით და ვიმურებით. მცირე წლოვანის მიმართ არაა შრომის კანონი დაცული სამუშაო დღის შესახებ. დროა მუშები ამას დაუფიქრდებოდეთ და ამის შესახებ რაიმეს ვიზრუნებდეთ. კანონი ჩვენს მხარეზეა და მხოლოდ ჩვენს სიგლახეს და სიძაბუნეს მიეწერება ხაზეინების თავხედობა.

ხელოსანი.

საიქციზო სამმართველო.

აქ 20-ამდე მოსამსახურე ვითვლებით. კულტურულ და საკავშირო ცხოვრებას მოწყვეტილი ვართ. არც გაზეთი, არც წიგნი და არც სხვა რამ. ადგილკომი ასეთ საქმეებზე სრულებით არ ზრუნავს. შრომის კანონებიც არაა სავსებით დაცული. საანგარიშო წიგნაკები მოსამსახურეებს არა გვაქვს დარიგებული. ყოველივე ეს რამდენიმეთ ჩვენი ბრალიცაა. თვით ჩვენ არ ვაქცევთ ამაებს ყურადღებას. არავისგან არაფერს ვითხოვთ. ვირჩევთ ადგილკომს და შემდეგ მას არ ვეკარებით. მის არც ავს ვკითხულობთ და არც კარგს. ასეთ პირობებში რა გასაკვირველია, თუ ადგილკომმა უმოქმედობა გამოიჩინა. გვმართებს ჩვენი ინტერესების დასაცავათ მეტი ენერგიის გამოჩენა.

მოსამსახურე პ. ქ.

ჯანაშვილის ძაგრის სახელოსნო.

აქ 4 მუშა ვმუშაობთ. ჩვენ მიმართ საერთოთ შრომის კანონები არაა დაცული. ვმუშაობთ ნაჭრობით. მუშები ყველაფერს მოწყვეტილი ვართ. ჩვენთან არც ტარიფია და არც სხვა რამ. ხაზეინს როგორც უნდა ისე გვაძლევს. დაზღვევას, კულტურულ მუშაობას, სამკურნალო დახმარებას,—ყველაფერს მოკლებული ვართ. არავინ ყურადღებას არ გვაქცევს. ამას წინეთ ყოველივე ეს ნახა შრომის ინსპექტორმა. არც მის შემდეგ გაუმჯობესებულა ჩვენი მდგომარეობა. ხაზეინი არავის ანგარიშს არ უწევს. საჭიროა უფრო ენერგიული შრომის ინსპექტორის გაგზავნა რომ ხაზეინს სასტიკათ მოსთხოვოს შრომის კანონების დაცვა.

მუშა.

„ნოეს" სასტუმრო.

ეს სასტუმრო, სადაც 18 მუშა-მოსამსახურე მუშაობს, ამ რამდენიმე ხნის წინათ ისევ მისცეს იჯარით ძველი მეპატრონეს სიხარულიძეს. ამას წინათ სასტუმროს ეწვია შრომის ინსპექტორი იმის გასაგებათ, თუ რამდენათ არის დაცული შრომის კანონები. ამ მხრივ სასტუმროს მდგომარეობა ვერ შეიმჩნა დამაკმაყოფილებელი. აქ ვერ ნახავ სადმე გამოკიდებულ შრომის კანონებს, ვერ ნახავთ შრომის კანონების წიგნს, მოსამსახურეებს არა აქვთა სანგარიშო წიგნაკი.

რაც მთავარია, არაა დაცული კანონი სამუშაო დღის შესახებ. მოზარდეებს ამუშავებენ 12 საათს, ქალებს 10 საათს. არც ზღვეულების ფულის შეტანა სწარმოებს დამზღვევ კასაში. სასურველია ყოველივე ამას ჯეროვანი ყურადღება მიექცეოდეს და შრომის კანონები ასეთ შემთხვევაში სასტიკათ იქნებოდეს დაცული. ადგილკომს ამაზე ზრუნვა და მუშაობა მართებს.

აჭაური.

კაფე „დე პარი".

აქ ვითვლებით სულ ოთხი მოსამსახურე. ჩვენი ხაზეინი არც შრომის კანონებს და კავშირთა ტარიფს ანგარიშს არ უწევს. არც ზღვეულების ფული შეაქვს დამზღვევ კასაში. ყოველივე ამის გამო ჩვენი მდგომარეობა მეტად მძიმე და აუტანელია. საჭიროა შრომის დაცვის ინსპექტორი ხშირ-ხშირად შემოიხედავდეს ჩვენსკენ.

—ძე.

სახ. სას. კომისარიატის მუშა-მოსამსახურეები.

აქ მოსამსახურეთა რიცხვი დაახლოვებით 10 კ. აქედან მიკროკად მსახურებს ერთი მცირე წლოვანი. ამ მცირე წლოვანის მიმართ არავითარი შრომის კანონები არაა დაცული. ის 10 საათს და კიდევ უფრო მეტს მუშაობს. ზედმეტ მუშაობს აგრეთვე ბუხგალტერიც, არც ის ღებულობს ზედმეტ სამუშაოსას. თუ ზედმეტ სამუშაოებში გასამრჯელოს მიცემა მოსპობილია, მაშინ კარგი იქნება ისე მოაწყობდენ საქმეს, რომ ეს ზედმეტი სამუშაო სრულებით არ იქმნეს. ეს კანცელიარიის მართველობის საქმეა.

ადგილკომი დიდ უმოქმედობას იჩენს. მოსამსახურეთა შორის არავითარი კულტურული მუშაობა არ სწარმოებს და არც ყურადღებას აქცევს ამ საქმეს. არც შრომის კანონების დაცვაზე თვალყურის გდებით იწუხებს თავს. მაგალითად ოთახების დამლაგებელ ქალებს კანონით ხალათი ერგებათ. ამ ქალებს ასეთი ხალათი არ მიუღიათ. რამდენჯერმე ითხოვეს, მაგრამ ამაოთ. ამ კომისარიატს ტეხნიკურ სანიტარული დეფექტებიც აქვს, მაგრამ არც მისი გასწორების მოთხოვნით შეუწუხებია ვინმე. მეტი ფხიზლობა და მუშაობა მართებს ადგილკომს.

ქ. პ.

პროვინციაში

ზუგდიდ-სენაკის რკინის გზა

საერთოდ ყველა ცოტად თუ ბევრად შეგნებულ ადამიანისათვის ნათელი და უდავოა ის გარემოება, რომ რკინის გზა, კარგად მოწყობილი ტრანსპორტი, შეადგენს ყველა სახელმწიფოსათვის მთავარ სასიცოცხლო არტერიას, მთავარ მამოძრავებელ ძარღვს, როგორც კულტურულ-ეკონომიური ცხოვრებაში, ისე პოლიტიკურ სფეროშიც. რკინის გზა კულტურულად და ეკონომიურად მჭიდროთ აკავშირებს პროვინციას ცენტრთან, საშუალებას აძლევს, უადვილებს მშრომელ მასას თავისი ნაწარმოები, თავისი ნაშრომი, საერთო ბაზარზე გამოიტანოს და იქ შესაფერ ფასებში გაყიდოს, ამნაირად საშუალება ესპობა ჩარჩ ვაჭრებს, სოფლის მევახშეებს ჩალის ფასად ჩაიგდოს ხელში გლეხის ნაწარმოები. თუ რომელიმე მხარე, რომელიმე კუთხე მოკლებულია ასეთ საშუალებას, თუ იქ გზები არ არის, ტრანსპორტი მოშლილია, მაშინ მას არ ძალუძს ცოტად თუ ბევრად ნორმალური კავშირი იქონიოს ცენტრთან. რასაკვირველია, ასეთ შემთხვევაში ძალა-უნებურად ის რჩება განმარტოებული, როგორც პოლიტიკურად, ისე კულტურულ-ეკონომიურად ჩამოქვეითებული.

ასეთ მდგომარეობაში იმყოფება დღეს საქართველოს, ერთ-ერთი თავისი ბუნებით უმდიდრესი კუთხეთაგანი—ზუგდიდის მაზრა.

მთელი საუკუნის განმავლობაში ეს მდიდარი კუთხე ღვთის ანაბარათ იყო მიტოვებული. აქაური თავადაზნაურობა, როგორც დრო მოჭმულ და გადაგვარებულ წოდებას სჩვევია საერთოდ, კულტურულ განვითარებაზე, ხალხის კეთილდღეობაზე თავს არასოდეს არ იწუხებდა. მუდამ გლეხკაცობის ჩაგვრა-გაძარცვა-ტყავებაში, მუდამ მის გაყვლეფაში იყო გართული; მათ აინტერესებდათ მხოლოდ ჭამა-ქეიფი, თავისი პირუტყული გრძნობების დაკმაყოფილება, მეტი

არაფერი. თავისთავად ცხადია, რომ ასეთი მუქთახორები სრულებითაც არ იყვნენ დაინტერესებული მაზრაში გზების გაყვანით.

ერთ დროს დაბა ზუგდიდის ვაჭრუკანებს (მაშინ ჩვენი დიდი ქალაქი ზუგდიდი იყო) ზუგდიდ სენაკის რკინის გზის გაყვანის სურვილი ქონდათ. კიდევაც დიდი შუამდგომლობა ნეტარ ხსენებულ ნიკოლოზის მთავრობის წინაშე, მაგრამ, როგორც მკითხველმა უწყის, არც უკანასკნელი იყო დაინტერესებული და ხელშემწყობი კულტურული საქმეების გატარებაში და მათი თხოვნა დარჩა ხმად მღაღადებელისა უდაბნოსა შინა. ძველ მთავრობას (ნიკოლ. მთავრობა) თავში მოუვიდა ერთი წადილი შავი ზღვის რკინის გზის გაყვანა, რაც საკვირველია სტრატეგიულ მოსაზრებით. დაიწყო მუშაობა, რომელიც ინტენსიურად მიმდინარეობდა 1917 წ. რევოლუციამდი. რევოლუციის შემდეგ შეწყდა ამ გზაზე მუშაობა. რკინის გზა სენაკიდან ცაიშამდე (33 ვერსტი) გათავებული იყო და ტვირთის ვაგონები დადიოდა. მენშევიკურმა მთავრობამ ამით ისარგებლა და კარგად იყო თუ ავად სადღაც ხეთიდან სენაკამდი (23 ვერსტია) მოაწყო მატარებლების მიმოსვლა.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ უსახსრობისა გამო შეწყდა ამ გზაზე მოძრაობა და დღემდე შეჩერებულია.

ზუგდიდის მაზრის აღმასრულებელმა კომიტეტმა არა ერთხელ და ორხელ აღძრა შუამდგომლობა სათანადო ცენტრალურ ორგანოებთან, აღნიშნულ გზის შეკეთება ამოძრავების შესახებ, მაგრამ სხვა და სხვა დამაბრკოლებელ მიზეზების გამო, ჩვენს მამართველს დღემდი რეალური ნაყოფი არა მოუცია.

მართალია, საბჭოთა ხელისუფლება სხვათა შორის—ფრიად დაინტერესებულია მენშევიკების დროს დაშლილ დანგრეულ ტრანსპორტის აღდგენაში, ყოველნაირ ზომებს ხმარობს ამ დიდ მნიშვნელოვანი საქმის მოსაწესრიგებლად, მთელი თავისი ენერგიას ხარჯავს რომ მენშევიკების ბატონობის დროს იმათ მიერ განადგურებული საქართველოს ეკონომიკა ფეხზე დააყენოს, კიდევაც ამ დაუღალავმა მუშაობამ თავისი ნაყოფი გამოიღო: მიუხედავათ ათასნაირი დაბრკოლებისა, რომლებიც წინ ეღობებოდნენ და ეღობება ხოლმე ჩვენს მთავრობას, საერთოთ მან შესძლო ამ ცოტათ თუ ბევრად ეს დიდი საკითხი მოეწესრიგებინა, სხვათა შორის ტრანსპორტის საქმეც ჩაეყენებინა ნორმალურ კალაპოტში.

დროა ეხლა დიდი ყურადღება მიექცეს ზუგდიდ-სენაკის რკინის გზასაც, მით უმეტეს, რომ, როგორც ზევით აღვნიშნე, ამ გზის დიდი ნაწილი უკვე გათავებულია, 33 ვერსტის მანძილზე ლიანდაგი დაგებულია, მხოლოდ ცოტა შეკეთება სჭირია; დანარჩენი 8 ვერსტის მანძილზე (ცაიშიდან ზუგდიდამდი) გზა თითქმის გაკეთებულია, საჭიროა მხოლოდ რელსების დაგება, მეტი არაფერი. შავი ზღვის რკინის გზის საწყობებში (ზუგდიდის მაზრაში) ინახება დიდძალი სარკინიგზო მასალა, რომელიც სრულიად საკმარისია, თითქმის საკმარისზე მეტიცაა ჩვენი გზის შესაკეთებლად. დიახ, ჩვენ ღრმად დარწმუნებული, ვფიქრობთ რომ ჩვენი უმაღლესი ორგანო ხსენებულ გზას ჯეროვან ყურადღებას მიაქცევდა მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, როგორც გამოირკვა, ამიერ-კავკასიის რკინის გზის სამმართველოს გადაუწყვეტია ზემოხსენებულ სარკინიგზო მასალების სამტრედია—ბათუმში გადატანა. ამ გადაწყვეტილების და სისრულეში მოსაყვანად უკვე გამოგზავნილია ზუგდიდის მაზრაში სალიკვიდაციო კომისია. ეს გარემოება დიდ გაუკვირობას და შიშს მოქმნის მაზრაში და საპროვოკაციო მასალას აძლევს ჩვენს მოწინააღმდეგეებს, მთელი მაზრა, მთელი ხალხი, ერთსულოვნად, ერთხმად თხოულობს ამ გზის შეკეთება ამოძრავებას, პირობას იძლევა რომ მთელი თავისი ძალღონით გვერდში ამოუდგება მთავრობას ამ დიდ მნიშვნელოვან საქმის გაკეთებაში, ის მზადაა ყოველნაირი ხარჯები თავის თავზე აიღოს, რაც უკვე დაამტკიცა ამ დღეებში ადგილობრივ აღმასკომების თავმჯდომარეთა თათბირმა.

იმ დროს, როდესაც გადაწყვეტილია ნატანებ ოზურგეთის ახალი რკინის გზის გაყვანა, რომელსაც ჩვენი რესპუბლიკისთვის ნაკლები ეკონომიური მნიშვნელობა აქვს, მართლაც დიდი შეცდომა იქნებოდა გზას ლიკვიდაცია ზუგდიდ-სენაკის რკინის გზისა, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს, როგორც ჩვენი მაზრისათვის, ისე მთელი რესპუბლიკისათვის, კულტურულ ეკონომიურ-პოლიტიკურ სფეროში და რომელიც თითქმის დამთავრებულია.

სრულიად დაიმედებული ვართ, რომ ჩვენი უმაღლესი ხელისუფლება, მუშურ გლეხური მთავრობა ჯეროვან ყურადღებას მიაქცევს ამ დიდ მნიშვნელოვან საკითხს და შეუდგება ზუგდიდ-სენაკის რკინის გზის შეკეთებას. ვიმედოვნებ, რომ მაზრის მთელი მშრომელი მასა, როგორც ერთი კაცი, მხარში ამოგვიდგება ჩვენ ამ ღირსშესანიშნავი საქმის გაკეთებაში.

გრიშა მეგრელი.

თბილისის ქალაქის აღმასკომის დადგენილება.

მუშათა უბნებში შენობათა აგების შესახებ

1. რათა წაქეზებულ იქნეს საბინაო შენობათა აგება, თბილისის ქალაქის აღმასკომი აძლევს საბინაო საამშენებლო კოოპერატივებს და აგრეთვე ცალკე მოქალაქეთაც, ვადით უფასო სარგებლობაში ადგილებს, აუცილებელი ვალდებულებით აშენონ წლინახევრის განმავლობაში ამ ადგილებში საცხოვრებელი შენობა, შემოარგონ იგი და დარგონ იქ ხეხილები და ხეები.

2. ადგილის სივრცე განსაზღვრულია 80 დან 200 კვადრატულ საჟენამდის, ფასადით არა უმცირეს 7 საჟენისა.

3. ყველა შენობათა აგება სწარმოებს იმ პროექტის მიხედვით, რომელსაც ამტკიცებს კომუნალური მეურნეობა.

4. მუშათა უბნებში სახლების ნორმალურ ტიპად მიჩნეულია სახლი არა უმეტეს ორი სართულისა, რომელიც აშენებული გამომწვარ აგურისაგან და დახურული ქვით ან კრამიტით; სახლი აშენებული უნდა იქნეს ყველა სანიტარული და ტეხნიკური (2, 3 და 4 ოთახი თვითეულ სართულში) პირობების დაცვით.

შენიშვნა: მანსარდები ითვლებიან ერთ სართულად. სარდაფები და ნახევრად სარდაფები საცხოვრებელ ბინად არ შეიძლება ჩაითვალოს.

5. კომუნალური მეურნეობა თავის თავზე ღებულობს ადგილების გეგმით დანაწილებას და ქუჩების, მოედნების, ბაღების, საზოგადოებრივი ხასიათის შენობების აღნიშვნას. აწყობს კანალიზაციას, წყალსადენს, განათებას და ქვაფენილებს ქუჩებსა და მოედნებზე.

6. საზოგადოებრივსა და კოოპერატიულ ორგანიზაციებს ეძლევათ უპირატესობა ადგილების ამორჩევაში და აგრეთვე მიეცემათ მათ ხანგრძლივი იაფი კრედიტი და შეღავათიანი პირობები შენობათა ასაგებად.

7. ახლად აგებული სახლები თავისუფლდებიან ყოველგვარ გადასახადებისაგან 10 წლის განმავლობაში.

8. თავისუფალი აშენების, მფლობელობის, დაგირავებისა და მემკვიდრეობის უფლების შესახებ დეკრეტს სცემს საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო.

ქალაქის აღმასკომის თავმჯდომარე—კომუნალური განყოფილების გამგე **წივწივაძე.**

მდივანი **ხუნდაძე.**

პარტიული

საქართველოს კომპარტიის თბილისის სამაზრო კომიტეტი აცხადებს, კომიტეტის ყველა წევრების და ორგანიზატორების საყურადღებოთ, რომ 10 აგვისტოს 1922 წ. დანიშნულია თბილისის სამაზრო კომიტეტის პლენუმის და თბილისის მაზრის ორგანიზატორ-ინსტრუქტორების მორიგი კრება.

დღის წესრიგი:

1) მიმდინარე მომენტი.
2) ადგილებიდან მოხსენებები.
3) პარტიულ მშენებლობის ახალ კონსტრუქციასთან დაკავშირებული საორგანიზაციო საკითხი.
4) მიმდინარე საქმეები.

კომიტეტის წევრების და ორგანიზატორ-ინსტრუქტორების დასწრება 10 აგვისტოსთვის სავალდებულოა.

თ. მ. კ. მდივნის მაგიერ **თ. ადამიძე.** (5—1)

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

ბრძანება № 5.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს ამა წლის ივლისის 20 თარიღის და 21 №-ის დადგენილების აღსასრულებლად სახალხო კომისარიატთა და დაწესებულებათა მიერ უპატრონო, რეკვიზიცია ქმნილი და სამემკვიდრეო საქონლის საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო ბანკისათვის გადაცემის შესახებ,—წინადადება ეძლევა ყველას ვისთვისაც ჯერ არს,—იხელმძღვანელონ შემდეგი დებულებანი:

1. სახალხო ბანკის კომისიის მისვლისთანავე—დაუყოვნებლივ შედგენილ უნდა იქნეს ამა წლის ივლისის 20 ს დარჩენილი საქონლის სია, სადაც უნდა აღინიშნოს როგორც უპატრონო, რეკვიზიცია ქმნილი და სამემკვიდრეო საქონელი, ისე საკუთარ წარმოებისა და ნაყიდი საქონელი.

2. უკეთუ სახალხო ბანკისა და სახალხო კომისარიატის ან დაწესებულების შორის აღიძვრის დავა იმის შესახებ—ეკუთვნის თუ არა საქონელი უპატრონო, რეკვიზიცია ქმნილ და სამემკვიდრეო საქონელთა კატეგორიას, სადავო საკითხი წარედგინება გადასაწყვეტად საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარეს, ხოლო თვით საქონელი, დავის გადაწყვეტამდი, გადადის სახალხო ბანკის განკარგულებაში.

3. სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო წარუდგენს კომისიას განსახილველად უპატრონო, რეკვიზიცია ქმნილი და სამემკვიდრეო საქონლის რიცხვიდან იმ მასალების სიას, რომელიც მისი წარმოებისათვის აუცილებლად საჭიროა, და, უკეთუ აღიძვრის დავა წარმოებისათვის ამ მასალის საჭიროების შესახებ მთლად ან ნაწილობრივ,—სადავო საკითხი წარედგინება საბოლოო გადასაწყვეტად საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარეს, ხოლო თვით მასალა,—დავის გადაწყვეტამდი, გადადის სახალხო ბანკის განკარგულებაში.

4. რადგანაც სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს წარმოების საჭიროებისათვის საბოლოოდ ცნობილი მასალა რჩება მის განკარგულებაში,—როგორც სახალხო კომისართა საბჭოს ფონდიდან გაცემული სესხი,—ამის გამო თვით მასალა ინახება სახალხო ბანკის საწყობებში და, საჭიროებისამებრ, გაიცემა სახალხო ბანკის მიერ,—სახალხო კომისართა საბჭოს ფონდის ინტერესის დაცვით, ე. ი. უნდა იქნეს იმის გარანტია, რომ მასალის ღირებულება დაბრუნებული იქნება.

5. ყოველი თანხა,—უპატრონო, რეკვიზიცია ქმნილი, სამემკვიდრეო და სადავო საქონლის გაცემით შემოსული,—შეტანილ უნდა იქნეს სახალხო ბანკში მისი სასაქონლო განყოფილების მიმდინარე ხარჯზე; ამასთანავე, უკეთუ სადავო საქონელი ცნობილ იქნება სახალხო კომისარიატის ან დაწესებულების კუთვნილებად, ამ უკანასკნელთ უნდა დაუბრუნოს საქონლის ღირებულება.

6. შენობა სადაც მოთავსებულია საქონელი, გადადის სახალხო ბანკის განკარგულებაში, უკეთუ იგი შეიცავს სახალხო კომისარიატისა ან დაწესებულების კუთვნილ საქონელზე უფრო მეტ უპატრონო, რეკვიზიცია ქმნილ და სამემკვიდრეო საქონელს; წინააღმდეგ შემთხვევაში, სახალხო ბანკმა უნდა გაინთავისუფლოს ეს შენობა მის განკარგულებაში გადასული უპატრონო, რეკვიზიცია ქმნილი და სამემკვიდრეო საქონლისაგან.

7. საქონლის ჩაბარების დროს სახალხო კომისარიატმა ან დაწესებულებამ უნდა მისცეს სახალხო ბანკს სავალდებულო ხელწერილი, რომ მან წარუდგინა კომისიას ყოველი საქონელი და რომ მას სხვა რამ საქონელი არ მოეპოება.

8. ყოველ შემთხვევაში, როცა სახალხო კომისარიატისა ან დაწესებულების წარმომადგენელთა მიერ გაწეული იქნება დაბრკოლება ან საბოტაჟი საქონლის ჩაბარებისათვის,—კომისია შეადგენს აქტს—დამნაშავეთა კანონიერ პასუხისგებაში მისაცემად.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **ს. ქავთარაძე.**

სახალხო კომისართა საბჭოს მდივანი **ალ. სალარიძე.**

1922 წ. აგვისტოს 3.

ტფილისი—სასახლე.

ქ. თბილისის აღმასრულებელი კომიტეტის გადასახადების

ბიურო

ამით აცხადებს, რომ სამშაბათს, 8 აგვისტოს, შუადღის 12 საათზე ქალაქის აღმასრულებელ კომიტეტის შენობაში გაიმართება საჯარო ვაჭრობა

ვერის ბორანის იჯარით გასაცემად

კონდიციების ნახვა შეიძლება გადასახადების ბიუროს კანცელარიაში. (ოთახი № 50).

(3—1) საჯარო მაგიდის გამგე **მ. დარახველიძე**

თბილისის აღმასრულებელ კომიტეტის გადასახადების ბიურო

ამით აცხადებს, რომ სამშაბათს, 8 აგვისტოს, დილის 10 საათზე, ქალაქის აღმასრულებელ კომიტეტის შენობაში გაიმართება

საჯარო ვაჭრობა

შემდეგი აბანოების იჯარით გასაცემად:

1) აბანო ჩითახოვის—კახეთის ქუჩა.
2) აბანო ედიგაროვის—ვორონცოვის ქ.
3) აბანო ფანტაზია—ვორონცოვის ქ.
4) აბანო მესხიშვილის—სარქისის ქუჩა.
5) აბანო ანანოვის ორთქლის—ფეივერკის ქ. № 8.
6) აბანო კარაჯევის ორთქლის—ფეივერკის ქ. № 21.
7) აბანო ნარიმანის ორთქლის—19 თებერვლის ქ.
8) აბანო აბრამიშვილის ორთქლის—ხაზინის ქუჩა.

კომისიის ნახვა შეიძლება ყოველ დღე. (2—1)

ტეხნიკუმის მასწავლებელი

ასწრაფოთ ამზადებს

მათემატიკურ საგნებში ჩამორჩენილ მოწაფეებს სექტემბრისათვის. პლეხანოვის № 25 და ალექსის ქუჩის კუთხე № 5, ნახვა 9—12 ს. 4—6 საათამდე. (1—1)

საჭიროა

უმაღლეს სწავლა დამთავრებული, ფრიად გამოცდილი და უმაღლეს კომერციულ დაწესებულებებში ნამსახური ქართული ენის მცოდნე ბუხჰალტერი.

მისამართი: სამმართველო არტელი „მშრომელთა კომუნა"-ს ტფილისის სადგურზე. (3—1)

საქართ. სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო

აცხადებს, რომ იგი იჯარით სცემს შემდეგ წარმოებებს:

1. სახელ. ტყავეულ. საპნის ქარხანას ყოფილ ბასინცოვებისას . . . ვორონც. ქ. № 122.
2. სახელმწიფო საპნის ქარხანას ყოფილ კოჩევისას . . . კახეთის ქ. № 64.
3. სახელმწიფო საპნის ქარხანა ყოფილ ძმობათა კავშირისას . . . კახეთის ქ. № 68.
4. ლუდისა და ყინულის ქარხანას ყოფ. სიხარულიძისას . . . დიდიმთავრის ქ. № 68.
5. სახალიფო პურის საცხობი ქარხანა № 1 ყოფ. ხარაზოვისა . . . ამბლდის ქ. № 6.
6. ლაბორატორია ყოფ. ვილარეტისა . . . ლორის-მელიქოვის ქ. № 9.
7. ფაბრიკა „ტექსტილი" . . . ორთაჭალაში.
8. კირის ქარხანა ყოფ. ჩარექოვისა . . . ქუთაისში.

იჯარის მსურველების შესახებ განცხადების შემოტანის უკანასკნელ დღეთ დანიშნულია ამა წლის 10 აგვისტო.

დაწვრილებითი პირობების გაგება შესაძლებელია **სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს ცენტრალურ საწარმოო განყოფილების საიჯარო სექციაში** პუშკინის ქუჩა, № 3.

9 საათიდან 3 საათამდე. (2—1)

ელექტრონის, რენტგენის და სინათლის

სამკურნალო

საწოლი ოთახებით

მიხეილ გედევანიშვილისა

ტფილისი, ყორღანოვის ქუჩა № 20, ტელ. 7—91. (25—5)

საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო

ბანკი

ამით აცხადებს, რომ კლიენტებთან ფულის ანგარიშების გასწორების და აგრეთვე რესპუბლიკაში ფულის ტრიალის გასაადვილებლად 7 აგვისტოდან (ორშაბათიდან)

გამოშვებულ იქნება ბანკის ვალდებულებანი

ღირებულებით **1.000.000, 500.000, 100.000** და **5.000,000** მანეთისა.

ეს ვალდებულებანი **უზრუნველყოფილი** იქნება ქართული ბონებით გამოშვებულ რაოდენობის მიხედვით და განაღდებული იქნება ბანკის მიერ მათ წარმოდგენისთანავე როგორც ბანკის გამგეობის კასაში—თბილისში, ისე მის განყოფილებებში, ამ ვალდებულებათა

მიღება სავალდებულო არ არის ყველა მცხოვრებთათვის,

მაგრამ ბონების ვალდებულებებზე გადაცვლა და პირიქით ხდება ბანკში როგორც კლიენტებისათვის, ისე ყველა პირთათვის, რომლებიც წარუდგენენ ბანკს ვალდებულებას.

(4—1) **სახალხო ბანკის გამგეობა.**

ქალაქ თბილისის ელექტრონის სადგურის სამმართველო

„ჰეს"

ამით აცნობებს ყველა აბონენტებს, რომლებიც სარგებლობენ ელ ტრონის სადგურების ენერგიით, რომ ისინი ვალდებულნი არიან **თავის** დრო **ზე შეიტანონ ხვედრი გადასახადი,** წინააღმდეგ შემთხვევაში, ვინც თავი დროზე არ შემოიტანს გადასახადს, **მათ ენერგია არ მიეცემათ.**

იმ აბონენტებს, რომლებსაც ენერგია არ ეძლევა ანგარიშის გაუს რებლობის გამო და უარს ამბობენ გადახდაზე, გადახდება მათი ხვედ ქირა ადმინისტრატიული წესით. (3—1)

თბილისის ქალაქის აღმასკომის მიწად-მოქმედების

განყოფილება

უკანასკნელად აცნობებს ყველა სახლის პატრონებს, რომ რეგისტრაციაში გასატარებლად სახლების საანკეტო ფურცლების გაყიდვის ვადა გაგრძელებულია 12 აგვისტომდე, საანკეტო ფურცელი ღირს 100.000 მან. იმ შემთხვევაში თუ სახლის პატრონი არ გამოცხადდა რეგისტრაციაზე

12 აგვისტომდე,

საანკეტო ფურცლის ფასი გადიდებული იქნება 500.000 მანეთამდე.

(7—2)

გაზეთის ტრესტის მთავარ

კანტორისგან

რათა არ იქნეს შეწყვეტილი გაზეთების გზავნა, გაზეთის ტრესტის მთავა კანტორა სთხოვს ხელის მომწერლებს თავის დროზე იზრუნონ ხელის მო რის განახლებაზე.

ხელის მოწერა მიიღება თბილისის ყველა გაზეთებზე ხელის მოწერ ფასი ძველია. ხელის მოწერა მიიღება რამდენიმე თვისაც ამა წლის დას რულამდე.

გაფრთხილება: ხელის მომწერლებს, რომლებიც არ შემოიტანენ მ მავალ თვის პირველამდე აგვისტოს ხელის მოწერის ფასს, ან არ დაფარ ვენ თავიანთ ვალების ვალდებულებას, გაზეთები აღარ გაეგზავნება. (0—13)

თბილისის ქალაქის აღმასკომის გადასახადთა

ბიურო

თანახმად დეკრეტისა **ყველა ფასიანი საჯარო სანახაობებიდან და გასართობებიდან პროცენტ. გადასახადის აკრეფის შესახებ გადასახადთა ბიურო აცხადებს,** რომ 1 აგვისტოდან ბილეთების ღირებულების 5 პროც. ყველა სანახაობებიდან და გასართობებიდან და სხვ. უნდა გადახდილ იქნეს მის სასარგებლოდ. **კონცერტის, წარმოდგენის და სხვ. განცხადებამდე ერთი დღით ადრე გამმართველებმა** უნდა აღნუსხონ საბილეთო წიგნაკები **თბილისის ქალაქის აღმასკომის გადასახადთა ბიუროში**

ამ დადგენილების დამრღვევთ ერთმევათ უფლება წარმოდგენების კონცერტების და სხვ. გამართვისა. (4—4)

ბინით სარგებლობის კანონ

გამოცემულია ცალკე ბროშიურებად და ამ დღეებში გაიყიდება ყველა უ ნასკნელი, ამ ჟამად მომქმედი დეკრეტები და დადგენილებანი საბინაო ს კითხის შესახებ, აგრეთვე დადგენილება

კომუნალურ სამსახურზე.

ქირის შემოღების შესახებ.

ბინით სარგებლობის კანონი გაიყიდება გაზეთის ტრესტის კანტორ ში (რუსთაველის პრ. № 24). და ყველა გაზეთის გამყიდველებთან.

თითო ეკზემპლარი ეღირება 20 ათასი მანეთ

(0—5)

გაზ. „პრავდა გრუზიი"-ის 29 ივლისის № 397-ში გამოქვეყნებულ განცხადების დამატებით, საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის

სახალხო ბანკის

გამგეობა

აცხადებს, რომ საქართველოს ცენტრალურ აღმასკომის ამა წლის 28 ივლისს № 63 დადგენილების მე 4 მუხლის თანახმად, წინანდელ დადგენილებათა დამატებათ აღნუსხულია:

1. ყველა მასალა და ქონება, რომელიც დარჩათ სახალხო კომისარიატებს და კერძოთ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს წინად არსებულ დაწესებულებათაგან, უნდა გადავიდეს სახალხო კომისართა საბჭოს ფონდში.

2. ის მასალები, რომლებიც საჭიროა სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოსათვის წარმოებათა სამუშევრად დარჩეს მათ განკარგულებაში და ჩაითვალოს როგორც სესხი აღებული სახალხო კომისართა საბჭოდან.

გაუწყებთ რა ზემოხსენებულს, სახალხო ბანკის გამგეობას საჭიროდ მიაჩნია აღნიშნოს, რომ საქართველოს ცენტრალურ აღმასკომის მოყვანილ დადგენილების მე-2 მუხლის განსამარტებლად სახალხო ბანკის მიერ შემუშავებული იქნება განსაკუთრებული ინსტრუქცია.

სახალხო ბანკის გამგეობა.

6—2

ტირაჟი 10,000

საქართველოს სახალხო საბჭოს უმაღლეს მეურნეობის პოლიგრაფიული განყოფილების მე-3 სტამბა, კომუნისტის ქ. № 4